აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 867 920,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 762 348,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 87,8 პროცენტია.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 687 700,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 755 393,2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 109,8 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025 წლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 96,1 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 660 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 725 935,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 110,0 პროცენტი.

2. გრანტები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025 წლის გრანტების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 600,0 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 2 600,0 ათასი ლარი ანუ გეგმის 100,0 პროცენტი. თანხა გამოყოფილი იქნა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 26 დეკემბრის #2220 განკარგულების შესაბამისად.

3. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2025 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 25 100,0 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 26 858,3 ათასი ლარი ანუ გეგმის 107,0 პროცენტი.

სხვა შემოსავლების საანგარიშო პერიოდის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე: პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 17 946,2 ათასი ლარით,

ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 956,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 38,8 პროცენტი; დივიდენდებიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 374,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 8 374,1 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 1 217,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 891,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 73,2 პროცენტი (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 826,3 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 662,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 80,2 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 10,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 60,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 606,0 პროცენტი; ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 5 000,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 913,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 198,3 პროცენტი.



არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 180 220,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 6 955,4 ათას ლარს. საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება, სამინისტროს მიერ განსაკარგად გათვალისწინებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადდა აუქციონები, მათ შორის რიგ ქონებაზე არაერთგზის, რომლებიც არ შედგა განაცხადების შემოუსვლელობის გამო.

საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 317,3 ათასი ლარი, მატერიალური მარაგებიდან მიღებულმა

შემოსავალმა 106,5 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6 531,6 ათასი ლარი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა 911 120,0 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 773 471,2 ათას ლარს, რაც გეგმის 84,9 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 10 113,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 7 956,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 78,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 1 605,1 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 1 520,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 94,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 6 406,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 5 590,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 87,3 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 149 734,1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 117 797,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 78,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 116 332,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 91 156,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 78,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 90 544,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 90 158,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 99,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2025 წლის გამოყოფილმა დაზუსტებული ასიგნებებმა 39 420,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 33 780,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 85,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 44 482,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 36 940,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 83,0 პროცენტია.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებას, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, 2025 წლის გამოყოფილი დაზუსტებული გეგმა შეადგენს 452 480,0 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 388 570,3 ათას ლარს, რაც გეგმის 85,9 პროცენტი.

მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების გეგმამ შეადგინა 226 639,4 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 184 403,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,4 პროცენტია.

მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 132 592,9 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 118 982,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 89,7 პროცენტია.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შპს „შპს აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 39 076,0 ათასი ლარით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 3 108,7 ათასი ლარით, შპს „გოდერძი რესორტის“ დაფინანსება 1 067,4 ათასი ლარით, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება 19 615,3 ათასი ლარით, შპს გაზეთი აჭარა და ადჟარიას დაფინანსება 487,9 ათასი ლარით და შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის დაფინანსება 185,5 ათასი ლარით.

საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში

საანგარიშო პერიოდში გადახდილია ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრობის, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ხელშეწყობის ასოციაციის და პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირისა და შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის საწევრო გადასახადები 24,3 ათასი ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2025 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 17 625,5 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2 ბრძანებით გამოეყო 10,0 ათასი ლარი განათლებისა და კულტურის სფეროში მოღვაწეთა ღვაწლის დაფასების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 ბრძანებით გამოეყო 3,0 ათასი ლარი განათლების სფეროში მოღვაწის ღვაწლის დაფასების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 823 ბრძანებით გამოეყო 10 044,6 ათასი ლარი სამედიცინო, მატერიალური და სხვადასხვა მომსახურების/დახმარების გაწევის მიზნით.

ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 5 ბრძანებით გამოეყო 7 542,8 ათასი ლარი ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2 ბრძანებით გამოეყო 25,1 ათასი ლარი სოციალური საცხოვრებელი კომპლექსის ლიფტების შეკეთების ხარჯების დაფინანსების მიზნით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გათვალისწინებით, გარდაცვლილის ოჯახის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის გაწევის მიზნით.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 638,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა

რეაბილიტაციისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 1 166,5 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 14 775,8 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში გაცემული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები 38,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 5 000,0 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2025 წლის 31 მარტის №26 განკარგულებით მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი იქნა 4 194,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2025 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე 5 შემდეგ პროგრამას: რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა,

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 985,4 ათასი ლარს, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 956,9 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-გან ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 30,0 ათასი ლარი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 172,1 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვითი მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა - 726,1 ათასი ლარი;
4. „სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მოვლა-პატრონობა და შენახვა“ ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებების ელექტრო ენერგიის საფასურის ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 7,3 ათასი ლარი;
5. სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა აუდიტორული მომსახურების შეძენა. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 21,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,1 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 12,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად განპირობებულია დაგეგმილი საინვესტიციო ღონისძიების გრაფიკის ცვლილებით. მიუხედავად ამისა, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორუმებსა და შეხვედრებზე, მათ შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, რამაც გამოიწვია ხარჯების ოპტიმიზაცია.

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2025 წლის გეგმა შეადგენს 125,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 109,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გარდა) ტერიტორიებზე შემუშავებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მართვა“ ფარგლებში სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფის მიერ გადამუშავდა და ცვლილებები შევიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებში (ჩაქვი-ციხისძირის სანაპირო ზოლის განაშენიანების რეგულირების გეგმა; ქალაქ ქობულეთის გენგეგმა; გვარას ადმინისტრაციული ერთეულის განაშენიანების გეგმა; მუხაესტატეს ადმინისტრაციული ერთეულის განაშენიანების გეგმა). დაწყებულია მუშაობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და სარფის განაშენიანების გეგმმებში ცვლილებების შეტანაზე, არსებული გამოწვევებისა და რეალობების ასახვის უზრუნველსაყოფად. სამუშაო რეჟიმში შეფასდა შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღომას მთის განაშენიანების თავსებადობის საკითხები განაშენიანების რეგულირების გეგმასთან, დაიგეგმა საჭირო ღონისძიებები არსებული გამოწვევების გათვალისწინებით და შესრულდა ღომას მთის განაშენიანებას ქვემდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა. ასევე ჩატარდა ჩირუხის მთაზე ადმინისტრაციული ცენტრის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიის წინასაპროექტო (ტოპოგრაფია, გეოლოგია, დენდროლოგია) კვლევები. შუახევის მუნიციპალიტეტს დასამტკიცებლად წარედგინა დაბა შუახევის განაშენიანების გეგმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუშაობს სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 109,4 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ სამუშაო ჯგუფის არსებული ადამიანური რესურსით უზრუნველყოფილი იქნა შესასრულებელი სამუშაოების ჩატარება დამატებითი სპეციალისტების მოწვევის გარეშე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,5 %

ქვეპროგრამის - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება 2025 წლის გეგმა შეადგენს 5 536,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 871,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება (თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის

მოწყობა, თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა)" ფარგლებში დაფინანსდა შენობების ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 1 871,9 ათას ლარს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- „გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება" ღონისძიების ფარგლებში ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვის საკითხი დროებით გადაიდო ახალი საბაგირო ტრასების შესაძლო მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან შესაბამისობისა და საჭიროების დადგენამდე;
- „ზანკები-გოდერძის გადასასვლელის და ჭანჭახის უღელტეხილი-ბეშუმის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება" ღონისძიების ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა, ვინაიდან ობიექტი წარმოადგენს რთულ და ქართული ბაზრისთვის იშვიათ ინფრასტრუქტურულ ობიექტს, რასაც უკავშირდება ბაზრის დეტალური კვლევის ჩატარება და ტექნიკურად გამართული საპროექტო დავალების შედგენა;
- „ხულო-თაგოს საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის წინასაპროექტო კვლევა" ღონისძიების ფარგლებში შემუშავდა ხულო-თაგოს საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის წინასაპროექტო კვლევისათვის საჭირო დოკუმენტაცია. სამშენებლო ობიექტის სპეციფიკიდან (უსაყრდენო საბაგირო გზა) გამომდინარე სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი პოტენციური კონტრაქტორის შერჩევა რთულად წარიმართა, ვინაიდან ადგილობრივი ბაზარი მსგავსი ობიექტების მიწოდებით ფაქტიურად არაა დაფარული. აღნიშნული ობიექტი მომეტებული საფრთხის შემცველია და მნიშვნელოვანია მისი უსაფრთხოებისა და ტექნიკური გადაწყვეტილების საკითხები დამუშავდეს მაღალი სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ღონისძიების ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა;
- „ჩირუხის მთის ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრატრუქტურის განვითარება" ღონისძიების ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა. ჩირუხის მთისადმი ვიზიტორთა მზარდი ნაკადების გათვალისწინებით, დაიგეგმა ადმინისტრაციული და გადაუდებელი სამსახურების განთავსებისათვის ობიექტის მშენებლობა, რომლისთვისაც შეირჩა შესაბამისი ტერიტორია. დაწყებულია სამშენებლოდ შერჩეული ტერიტორიის საკადასტრო ერთეულად რეგისტრაციის პროცედურა და განხორციელდა წინასაპროექტო კვლევა (სამშენებლო ტერიტორიის ტოპოგრაფია, შესრულდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და დენდროლოგიური კვლევა);
- „სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება (თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის მოწყობა, თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა)"- ღონისძიების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებით. გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შესრულება ვერ მოხერხდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებითი ცვლილებების

შეტანის აუცილებლობის გამო. აღნიშნული საჭიროება განაპირობა სამშენებლო ობიექტის რთულმა გეოგრაფიულმა და გეოტექნიკურმა პირობებმა. კერძოდ, ალპურ ზონაში არსებულმა არამდგრადმა ნიადაგმა და ნაყარი გრუნტის შრეებმა გამოიწვია მეწყრული პროცესების გააქტიურება, რამაც დამატებითი გამაგრებითი სამუშაოების განხორციელება გახადა აუცილებელი. ზემოაღნიშნული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით შეიცვალა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი და სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად 2026 წელი განისაზღვრა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 33,8 %

ქვეპროგრამის - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2025 წლის გეგმა შეადგენს 1 900,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 170,3 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №22.33.06.045) მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის დასრულების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 16,9 ათას ლარს.

ღონისძიების „შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში განხორციელდა ჭვანის ხეობაში არსებული საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯი შეადგენს 153,4 ათას ლარს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის პროცესში დღის წესრიგში დაისვა საკითხი საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანაზე, რომელიც ძირითადად ეხებოდა ფასადის მოწყობის კვანძების საკითხებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესასრულებელ სამუშაოებსა და სახელშეკრულებო/საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას შორის არსებული შეუსაბამობების გამო, მიმწოდებლმა ვერ უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში დასრულება და ნაწილობრივ შეაჩერა სამშენებლო სამუშაოები. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, სამშენებლო ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატური პირობების და დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით შეიცვალა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი და სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად 2026 წელი განისაზღვრა.

ზედა ჩხუტუნეთის ცენტრის რეკონსტრუქცია, შენობების ჩანაცვლების მშენებლობისთვის ტენდერი არ გამოცხადებულა, ვინაიდან ჯერ არ დასრულებულა ამავე მისამართზე მშენებარე მრავალფუნქციური საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობა. სარეკონსტრუქციო შენობების მესაკუთრეებთან ძირითადად დაზუსტდა ურთიერთვალდებულებების პირობები.

ჭვანის ხეობაში ახალი საფეხმავლო ბილიკის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი არ გამოცხადებულა. მისი განხორციელება გადაიდო 2026 წლისათვის, არსებული ბილიკის კეთილმოწყობის სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო.

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 34 037,4 ათას ლარს, საკასო შესრულება 34 037,4 ათას ლარს.

საანგარიში პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში (დასახლება მეჯინისწყალი) მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.09.877) ე.წ „ოცნების ქალაქი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. კერძოდ:

შენობა №1 – მიმდინარეობს მე-10 სართულის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ასევე დასრულებულია 1,2,3,4 და 5 სართულებზე ბლოკის წყობის სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობს დაკაბელება და ლესვის სამუშაოები.

შენობა №2 - მიმდინარეობს მე-11 სართულის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ხოლო 1,2,3,4,5 და 6 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობს დაკაბელება და ლესვის სამუშაოები.

შენობა №3 - დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ბლოკის წყობისა და დაკაბელების სამუშაოები, ასევე 1,2,3 და 4 სართულზე დარულდა ლესვის სამუშაოები.

შენობა №4, №5 - მიმდინარეობს მე-8 სართულის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, 1 და 2 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის სამუშაოები.

შენობა №6 - მიმდინარეობს მე-8 სართულის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, 1,2,3,4 და 5 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის სამუშაოები და პარალელურად მიმდინარეობს დაკაბელება.

შენობა №7, №8, - მიმდინარეობს მე-7 სართულის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ასევე 1 სართულზე დარულდა ბლოკის წყობის სამუშაოები.

შენობა №9 - მიმდინარეობს მე-6 სართულის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ასევე 1 და 2 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯი შეადგენს 34 037,4 ათას ლარს (მათ შორის გაცემულია ავანსი 25 869,4 ათასი ლარი) შემსრულებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 24,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

„მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან დაგეგმილი იყო კომერციული ბანკების მიერ არაუმეტეს 147 სუბიექტზე გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 12%-ის ანაზღაურება. კომერციული ბანკების მხრიდან არ მომხდარა სესხების გაცემა. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა.

საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3 268,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 086,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობას. ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყო 4 625 გრძ/მ გაზსადენი დაბა ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე.

გაზსადენის მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხებით, რაც გამოწვეულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, ვინაიდან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს. გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობს და შესაბამისად ხორციელდება გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 33,2 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 11 121,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 9 424,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის ბულვარის მოვლა-შენახვასა და მიმდინარე ხარჯებზე გაწეულია 6 439,0 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათებისა და მუსიკალური შადრევნებისათვის ელექტრო ენერგიის ხარჯს, ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების, სანიტარული მომსახურების და ბულვარის ტერიტორიის დაცვის ხარჯს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტების საკასო ხარჯმა შეადგინა 2 985,1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ღონისძიების ფარგლებში „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ განხორციელდა ახალი და ძველი ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ორი საბავშვო კუთხის რეაბილიტაციისა და ახალი ბულვარის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 14,7 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაცია და კალათბურთის მოედნის მოწყობა“ დასრულდა სამი სავარჯიშო მოედნის რეაბილიტაცია და ერთი კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 1 005,7 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში ნოდარ დუმბაძის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების გასწვრივ არსებული ტერიტორიის რეაბილიტაცია“ დასრულდა ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 232,6 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ახალ ბულვარის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული განათების ქსელის დემონტაჟი და ახალი განათების ქსელის მოწყობა“ დასრულდა ახალი განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 548,6 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული სკვერების რეაბილიტაცია და ახალი სკვერების მოწყობა“ დასრულდა სკვერის მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 373,2 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის სანაპიროსთვის გასახდელების შეძენა-მონტაჟი“ განხორციელდა 11 ერთეული საზოგადოებრივი დანიშნულების და 4 ერთეული შშმ-პირებზე ადაპტირებული გასახდელის შეძენა-მონტაჟი, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 206,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის გამწვანების მიზნით სხვადასხვა სახის მრავალწლოვანი ხე-მცენარეებისა და ერთწლოვანი ყვავილების შესყიდვა და მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის ხარჯები“ განხორციელდა 2 100 ძირი მრავალწლიანი ხე მცენარის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 130,4 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ავტოპარკის განახლება“ განხორციელდა 1 ერთეული მინი ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 164,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ადაპტირებული პლაჟისათვის ტივტივა ეტლის შესყიდვა“ განხორციელდა 4 ერთეული ტივტივა ეტლის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 34,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ქანდაკებების დადგმა/რეაბილიტაცია“ განხორციელდა ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე განთავსებული სკულპტურა ლოკოკინას აღდგენა-მონტაჟი. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 17,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბულვარის მოვლა-შენახვისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენა“ განხორციელდა 8 ერთეული სათიბი ტექნიკის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 36,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ახალ ბულვარში დეკორატიული საჩრდილობლების და ქვის დეკორატიული საყვავილე ქოთნების შეძენა-მონტაჟი“ განხორციელდა 5 ერთეული ქვის დეკორატიული საყვავილე ქოთნის შეძენა-მონტაჟი, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 45,4 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების და სხვა ნაგებობების სათადარიგო ნაწილების შეძენა“ განხორციელდა სათადარიგო ნაწილების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 113,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების მოვლა-პატრონობის ხარჯები“ განხორციელდა გარე განათების დამიწების კონტურების გაზომვა-აღდგენის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 61,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ბულვარის ტერიტორიის კომუნალური ხარჯებში, მათ შორის ელექტროენერგიის ხარჯებში წარმოიშვა ეკონომია, ამასთან დეკემბრის თვის კომუნალური ხარჯების ანაზღაურება მოხდა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ 2026 წლის დასაწყისში. ასევე ელექტრონული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებით და ქვემოთ აღნიშნული გარემოებებით:

ღონისძიების „ბათუმის ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია“ ფარგლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციაში გამოვლენილი იყო ხარვეზი და აღნიშნულის გასწორების შემდგომ, ზაფხულის სეზონამდე ვერ ესწრებოდა ტენდერის გამოცხადება და სამუშაოების დასრულება, საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდში შეჩერდა და დაიგეგმა 2026 წლისათვის.

ღონისძიების „ბათუმის ბულვარის ავტოპარკის განახლება“ ფარგლებში დაგეგმილი 4 ერთეული სპეცტექნიკის შესყიდვა ვერ განხორციელდა, გამომდინარე იქედან, რომ სსიპ ბათუმის ბულვარის მოთხოვნების გათვალისწინებით საჭირო ტექნიკური მახასიათებლების მქონე სპეცტექნიკა საქართველოში არ იყო და საჭიროებდა შეკვეთით დამზადებას და მოწოდებას, რისთვისაც საჭიროა იყო 7-8 თვე, რომელიც საანგარიშო პერიოდში ვერ ესწრებოდა.

ღონისძიების „ბათუმის ბულვარში არსებული სკვერების რეაბილიტაცია და ახალი სკვერის მოწყობა“ ფარგლებში ბამბუკების (კორომის) სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში განსახორციელებული ცვლილების გამო, ზაფხულის სეზონამდე ვერ ესწრებოდა ტენდერის გამოცხადება და სამუშაოების დასრულება, რის გამოც სკვერის რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდში შეჩერდა და დაიგეგმა 2026 წლისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,7 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2025 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვის ქვეპროგრამა და ასევე ქვეპროგრამა - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 250,0 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 174,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა - 2024 წლის გაფორმებული მრავალწლიანი ხელშკრულების ფარგლებში შ.პ.ს. „ბისი-ჯი კვლევა“-მ მიმდინარე წელს უზრუნველყო 2024 წლის კვლევის მესამე და მეოთხე ეტაპის შესაბამისი მასალების მოწოდება, ადგილობრივი ტურისტული ბაზრის 2024 წლის კვლევა დასრულდა. 2025 წლის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევას აწარმოებს შ.პ.ს. „ბი-სი-ჯი კვლევა“. დასრულდა პირველი, მეორე და მესამე ეტაპები, მიმდინარეობს კვლევის მეოთხე ეტაპი. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევის ფარგლებში განხორციელდა ტურისტთა განთავსების არარეგისტრირებული სექტორის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა.

უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა - ღონისძიების ფარგლებში 2024 წლის კვლევას აწარმოებდა ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. საანგარიშო პერიოდში დასრულდა კვლევის ბოლო მეოთხე ეტაპი. კომპანიამ უზრუნველყო შესაბამისი მასალების მოწოდება. 2025 წლის უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევას აწარმოებს ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. დასრულდა კვლევის პირველი, მეორე და მესამე ეტაპები, მიმდინარეობს მეოთხე ეტაპი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოშობილი ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,6 %

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე საანგარიშო პერიოდი დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 158,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 836,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით განახორციელა სხვადასხვა სახის სარეკლამო-მარკეტინგული საქმიანობა.

ღონისძიების „სარეკლამო, საინფორმაციო, გამოცდილების გაზიარებითი და გაცნობითი ტურების ორგანიზება ტუროპერატორების, მედია საშუალებების სხვადასხვა წარმომადგენლის, ექსპერტების, ტურიზმის დარგის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტის ან/და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული/ტურიზმის სფეროს მასტიმულირებელი დარგის წამომადგენლებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა თვრამეტი ტური.

ღონისძიების „საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება საქართველოში ან საზღვარგარეთ. საერთაშორისო ტურისტულ ან/და ტურიზმთან დაკავშირებული დარგების გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებში, ფესტივალებში, ღონისძიებებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, ასევე აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებობების წარმოჩენის მიზნით პრეზენტაციების, კონფერენციების, ფორუმების, ფესტივალის, სამუშაო შეხვედრების, სხვადასხვა ღონისძიების და პიარ აქტივობის ორგანიზება“ ფარგლებში რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიღო 27 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენასა და 4 სამუშაო შეხვედრაში. აჭარის რეგიონი და რეგიონის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ გამოფენაზე. კერძოდ:

1. ესპანეთი, მადრიდი - ,,FITUR’’;

2. ფინეთი, ჰელსინკი - „MATKA EXPO“;

3. ლიეტუვა, ვილნიუსი - ,,ADVENTURE’’;

4. ა.შ.შ., ნიუ იორკი - „NEW YORK TRAVEL AND ADVENTURE SHOW“;

5. ლატვია, რიგა - „BALTTOUR“;

6. ესტონეთი, ტალინი - „TOUREST“;

7. თურქეთი, სტამბოლი - „EMITT“;

8. ინდოეთი, - მუმბაი „SATTE“;

9. დანია, ჰერნინგი - „Danish Travel Show“;

10. უნგრეთი, ბუდაპეშტი - „Hungexpo“;

11. პოლონეთი, ვროცლავი - „INTERNATIONAL TRADE FAIR OF TOURISM “;

12. გერმანია, ბერლინი - „ITB“;

13. იტალია, მილანი - „Bit Milano“;

14. ჩეხეთი, პრაღა - „HOLIDAY WORLD & REGION WORLD“.

15. ყაზახეთი, ალმათი - „KITF“;

16. არაბთა გაერთიანებული საამიროები, დუბაი - „ARABIAN TRAVEL MARKET“;

17. გერმანია, ფრანკფურტი - „IMEX FRANKFURT“;

18. ჩინეთი, შანჰაი - „ITB CHINA“;

19. სამხრეთ კორეა, სეული - „SEOUL INTERNATIONAL TRAVEL FAIR“;

20. საქართველო, ბათუმი - „EBIT 2025“;

21. არაბთა გაერთიანებული საამიროები, დუბაი - „IPS (International Property Show)“;

22. საფრანგეთი, პარიზი - „IFTM TOP RESA“;

23. დიდი ბრიტანეთი, ლონდონი - „WTM London“;

24. საბერძნეთი, თესალონიკი - „Philoxenia – Hotelia“;

25. ესპანეთი, ბარსელონა - „IBTM Barcelona“;

26. პოლონეთი, ვარშავა - „TT Warsaw“;

27. უზბეკეთი, ტაშკენტი - „TITF Tashkent“.

ღონისძიების „რეგიონის პოპულარიზაცია საერთაშორისო ან/და სამიზნე ქვეყნებში სხვადასხვა სარეკლამო აქტივობებით (მათ შორის სატელევიზიო რეკლამის, ონლაინ რეკლამის, გარე რეკლამის, ბეჭდური მედიისა და სხვა სარეკლამო საშუალებებით)“ ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ონლაინ სარეკლამო კამპანია საერთაშორისო სოციალური ქსელების, FACEBOOK/ფეისბუკისა და INSTAGRAM/ინსტაგრამის აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალური გვერდის Visit Batumi-ს მეშვეობით;

ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ ARABIAN TRAVEL MARKET-ის ბეჭდურ გამოცემაში ATM Dubai YEARBOOK 2025 განთავსდა ბათუმის ორგვერდიანი რეკლამა.

ბათუმის და აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ავიაკომპანია WIZZAIR-ის საბორტო ჟურნალის WIZZ MAGAZINE-ის აპრილი/მაისის ივლისის, აგვისტო/სექტემბრის გამოცემაში განთავსდა თითო ორგვერდიანი სხვადასხვა თემატიკის სარეკლამო სტატია.

2025 წლის 25-29 ივნისის პერიოდში, აჭარის კრივის ფედერაციის ორგანიზებით ბათუმში გამართულ კრივის საერთაშორისო ტურნირზე ხუთი დღის განმავლობაში განხორციელდა სარეკლამო კამპანია.

აჭარის რეგიონში გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ერთგვერდიანი საინფორმაციო სარეკლამო სტატია განთავსდა „Global Birdfair“ გამოფენის ჟურნალის ბეჭდურ გამოცემაში 2025 წლის ივლისის თვეში.

ბათუმის საიმიჯო ფოტო ბანერი განთავსდა არაბთა გაერთიანებული საემიროების Gulf News-ის გამოცემის ბეჭდურ გამოცემაში და ასევე ონლაინ პლატფორმაზე gulfnews.com-ზე.

სარეკლამო სტატია განთავსდა ბრიტანული სამოგზაურო გამომცემლობის WANDERLUST-ის ბეჭდურ გამოცემაში და ასევე ონლაინ პლატფორმაზე wanderlustmagazine.com -ზე.

სარეკლამო სტატია განთავსდა ბრიტანული სამოგზაურო გამომცემლობის National Geographic Traveller UK-ის https://www.natgeotraveller.magazine.co.uk-ზე.

სარეკლამო სტატია განთავსდა ბრიტანული სამოგზაურო გამომცემლობის Wired for Adventure-ის ბეჭდურ გამოცემაში და ასევე ონლაინ პლატფორმაზე https://www.wiredforadventure.com/-ზე.

საქართველოს რაგბის ნაკრების ნოემბრის ტესტ მატჩების ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და იაპონიის რაგბის ნაკრებებთან, განხორციელდა ბათუმისა და აჭარის სარეკლამო კამპანია.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია 2025 წლის განმავლობაში არსებული საერთაშორო არასტაბილურობით, კერძოდ: ახლო აღმოსვლეთში არსებული სომარი მოქმედებებისა და რუსეთ-უკრაინის ომის გამო სამიზნე ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე რიგ სამიზნე ქვეყნებში მარკეტინგული კამპანიის წარმოება მიზანშეუწონლად ჩაითვალა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,1 %

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 600,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 957,7 ათას ლარს.

ღონისძიების „სარეკლამო, საინფორმაციო და გაცნობითი ტურების ორგანიზება ტუროპერატორების, მედია საშუალებების სხვადასხვა წარმომადგენლის, ფოტოგრაფების, ექსპერტების, ტურიზმის დარგის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტის ან/და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული/ტურიზმის სფეროს მასტიმულირებელი დარგის წამომადგენლებისთვის“ - 2025 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 7 მედია ტური.

ღონისძიების „სხვადასხვა ღონისძიების, წარმოდგენის, შოუების, ინსტალაციების, ფესტივალებისა და სხვა პიარ-აქტივობების ორგანიზება შიდა ტურიზმის სტიმულირების, ტურისტული პრუდუქტების, ტრადიციების, კულტურის პოპულარიზაციისა და მოგზაურობის წახალისების მიზნით“ - 2025 წლის პერიოდში დეპარტამენტის მიერ, ბათუმის ზაფხულის სეზონის გახსნის ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა პიარ ღონისძიების ორგანიზება, რომელიც მოიცავდა ფრანების შოუს. ასევე ღონისძიების ფარგლებში შუამთობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით კურორტ ბეშუმში, ჩირუხის მთასა და ზორტიყელის მთაზე გაიმართა სხვადასხვა პიარ მარკეტინგული ღონისძიებები აჭარის მთიანი მუნიციპალიტეტების ტრადიციების, კულტურის და მთაში მოგზაურობის წახალისების მიზნით.

ღონისძიების „სხვადასხვა სარეკლამო საშუალებით რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება და ტურიზმის სტიმულირება“ ფარგლებში რეგიონის სამთო და საზღვაო, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და ადგილების პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობდა კრეატიული სარეკლამო კამპანია „გამომყევი აჭარაში”, რომლის ფარგლებშიც მონაწილე ბლოგერ-ინფლუენსერები აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და რეკომენდაციებს სოციალურ ქსელებში აქტიურად უზიარებდნენ ასიათასობით გამომწერს. პროექტის ფარგლებში აჭარის ტურისტული ადგილების შესახებ შექმნილ პოსტებზე წვდომების რაოდენობამ ნახევარ მილიარდს მიაღწია.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ კურორტ გოდერძიზე დაგეგმილი ზამთრის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება და სარეკლამო საინფორმაციო ტურები ვერ განხორციელდა დეკემბრის თვეში კურორტზე არასაკმარისი თოვლის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 59,9 %

ქვეპროგრამის - რეგიონის, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 076,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 193,7 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალის დამზადება-ბეჭდვა“ ფარგლებში დამზადდა სარეკლამო-საინფორმაციო მასალა, კერძოდ, 10 000 ცალი ინგლისურენოვანი ბროშურა და 5 000 ცალი ინგლისურენოვანი რუკა.

ღონისძიება „სხვადასხავა საპრომოციო, სარეკლამო მასალის, სუვენირების, ღვინის და სხვა თემატური მასალის დამზადება/შეძენა რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ტურიზმის სტიმულირებისათვის“ ფარგლებში დამზადდა 4 000 ცალი ბრენდირებული მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა. 6 000 ცალი ბრენდირებული ნაჭრის ჩანთა, ასევე დამზადდა 4 000 ცალი ბრენდირებული ბლოკნოტი და 6 000 ცალი ბრენდირებული კეპი.

ღონისძიების „რეგიონში ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სარეკლამო-საპრეზენტაციო ვიდეო რგოლის დამზადება“ ფარგლებში დამზადდა 4 სეზონის ამსახველი 5 ერთეული სარეკლამო-სოციალური მედიიის ფორმატის ვიდეორგოლი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ აჭარის რეგიონის საიმიჯო მთავარი ვიდეორგოლის დამზადებაზე გაფორმებული ხელშეკრულება მომწოდებლის მხრიდან სრულად ვერ შესრულდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 18,0 %

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას, აქედან ქვეპროგრამა - სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ ადმინისტრიულ ხარჯებს და 2 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 5 450,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 3 227,2 ათას ლარს.

ღონისძიების „ეკო და სოფლად ტურისტულ მარშრუტებზე სარეკლამო-საინფორმაციო ტურების და აქტივობების ორგანიზება“ ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა ორი საინფორმაციო გაცნობითი ტური.

ღონისძიების „ფესტივალების, კონფერენციების და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება (ზაფხულის ფესტივალი, განდაგანა, გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი, სოფლის ტურიზმის კონფერენცია, მოლაშქრეთა ფესტივალი და სხვა)“ ფარგლებში ჩატარდა ორდღიანი ფესტივალი „ზაფხული იწყება აქ“. ჩატარდა ქობულეთის ზაფხულის ფესტივალი, სოფლად ტურიზმის ორდღიანი ფესტივალი „განდაგანა“ და სოფელ ბრილში ადგილობრივი თიხის ნაკეთობების განვითარებისა და ტურისტული პროდუქტის განვითარების მიზნით გაიმართა ღონისძიების ორგანიზება ადგილობრივი და მოწვეული ოსტატების მიერ მასტერკლასების, არტ-ნამუშევრებისა და ვორქ-შოპების სახით.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და განვითარება (კვლევა, მარკირება, მანიშნებლები, საინფორმაციო დაფები, პროექტირება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტურისტული ინვენტარი, ტრენინგები, ბეჭდვა და ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები) ფარგლებში განხორციელდა საქართველოს კულინარიის კვლევა და დაიბეჭდა გასტრონომიული კრებული.

დასრულდა აჭარაში დაცული ხალხური მხატვრული ხელოვნების (ორნამენტების) ნიმუშების კვლევა და კვლევის შედეგების მიხედვით გზამკვლევის/ალბომის მომზადება.

გაიჭრა და კეთილმოეწყო სოფელ ზუნდაგაში ჩანჩქერთან მისასვლელი 4 კმ-იანი ბილიკი.

განხორციელდა სოფლად არსებული საოჯახო სასტუმროების მომსახურების ხარისხის კვლევა და შეფასება.

„კარგი მასპინძლის“ პროექტის სტატუსის მქონე საოჯახო სასტუმროს მფლობელებისთვის, განხორციელდა მომსახურების განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალური სატრენინგო მომსახურების ორგანიზება.

ჩატარდა აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ ტურისტულ ლოკაციებზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოები.

ხულოს მუნიციპალიტეტში ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოების ნაწილი შესრულდა.

აჭარის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე მოეწყო საპიკნიკე ინფრასტუქტურა.

ისპანის ტორფნარზე არსებულ საფეხმავლო ბილიკზე მოეწყო მოსასვენებელი სივრცე.

დასრულდა არაქართველი ეთნოსების სამზარეულო ტრადიციების კვლევა, ეთნოგრაფიული და ვიზუალური მასალების თავმოყრა და კვლევის შედეგების წიგნის სახით გამოცემა.

მოხდა მცირეფასიანი და ძვირადღირებული ნიშნულების შეძენა ტურისტული ლოკაციებისთვის.

დაიბეჭდა წიგნი „კულინარიული მოგზაურობა ეთნოგრაფიულ საქართველოში“ და ეთნოგრაფიული წიგნი „დეკორატიული ხელოვნება აჭარაში“.

შესრულდა გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების კოშკის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში, ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნაწილი და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების კოშკის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი ვერ შესრულდა საანგარიშო პერიოდში და დასრულდება 2026 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 59,2 %

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 420,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 775,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ღონისძიების „ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანმიმართული სატრენინგო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება“ ფარგლებში მიმდინარეობს გიდის პროფესიის ინტენსიური თეორიულ-პრაქტიკული კურსი „ქალაქ ბათუმის ტურის გიდი“. გადამზადების კურსი გაიარა 20-მა პირმა.

ღონისძიების „ღონისძიებების, მასტერკლასების, ექსპედიციების და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით“ ფარგლებში

გაიმართა აჭარის ტერიტორიაზე არსებული განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის 100 წარმომადგენლისთვის, საზღვაო ტურისტული სეზონის წინ, დასუფთავების სამსახურის მუშაობის სპეციფიკური პრინციპების შესახებ, ორ დღიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი მასტერკლასები და პროფესიის საპოპულარიზაციო პრაქტიკული კურსები. ასევე ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ბათუმის მესამე საერთაშორისო გასტრონომიული ფორუმი და 3 დღიანი კულინარიული მასტერკლასები ადგილობრივი მზარეულებისათვის.

ღონისძიების „საინფორმაციო ბროშურებისა (მათ შორის, სახელმძღვანელოების, გაიდების, გზამკვლევების) და სხვა მასალების მომზადება-ბეჭდვა“ ფარგლებში მიმდინარეობს საინფორმაცვიო ბროშურის „გასტრონომია და ღვინო, გემრიელი აჭარა“ ესპანურ ენაზე თარგმნა და ბეჭდვა.

ღონისძიების „ტურისტული სერვისის მასტიმულირებელი ვიდეოების შექმნა“ ფარგლებში მზადდება აჭარული სამზარეულოს 7 ავთენტური კერძის ვიდეო რეცეპტი.

ღონისძიების „ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოების ღონისძიების ორგანიზება“ ფარგლებში გაეწია ორგანიზება ტურიზმის ინდუსტრიაში 2025 წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოების ღონისძიებას.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოშობილი ეკონომიით, ასევე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო სერვისის განვითარების მიზნით დაგეგმილი სატრენინგო პროგრამების გეგმა-გრაფიკის ცვლილებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 54,6 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2025 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 30 130,0 ათას ლარს, შესრულება - 19 819,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: საანგარიშო პერიოდში დასრულდა 11 გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები, 11 გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გაფორმებულია ხელშეკრულება, ობიექტების ნაწილზე სამუშაოები მიმდინარეობს მრავალწლიანი შესყიდვის ფორმით.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები არაერთგზის არ შედგა/დასრულდა უარყოფითი შედეგით. აგრეთვე, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით ვადების დარღვევით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 65,8 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9 538,2 ათას ლარს, შესრულება - 8 162,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 10 ხიდის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 2 ხიდის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება (სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის მიერ დროულად ვერ მოხდა ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება).

დასრულდა 75 საყრდენი კედლის სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს 10 საყრდენი კედლის მშენებლობა (მათ შორის 7 საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები წარმოადგენს მრავალწლიანი შესყიდვის საგანს).

დასრულდა 2 დამცავი ნაგებობის და მიმდინარეობს 1 დამცავი ნაგებობისა და წყალარინის მოწყობის სამუშაოები (მომწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ განხორციელდა სამუშაოების დასრულება).

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშგებო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები არაერთგზის არ შედგა/დასრულდა უარყოფითი შედეგით, აგრეთვე, სამუშაოების მწარმოებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დასრულდა სამშენებლო სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,6 %

ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 22 159,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 18 355,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

განხორციელებულია ავტომობილებისა და მძიმე ტექნიკის მიმდინარე რემონტი;

გაწეულია ავტომანქანების ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები;

შესყიდულია ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები და სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი;

განხორციელებულია ავტოტრანსპორტის დაზღვევა;

განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთება;

განხორციელდა ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

გაწეულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მექანიზმის ყოველთვიური მომსახურების ხარჯი;

შესყიდულია სამშენებლო მასალები და კიუვეტები;

განხორციელდა მონოლითური ბეტონის შესყიდვა;

შესყიდულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

შესყიდულია 6 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;

განხორციელდა მუნიციპალიტეტებში არსებული განყოფილებების ოფისების კეთილმოწყობა;

შესყიდულია მილები;

განხორციელდა საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნების დამზადებისთვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა;

გაწეულია ხარჯი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ასანაზღაურებლად;

გაცემულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;

გაწეულია ხარჯი მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების დაზღვევის მიზნით.

განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ფარგლებში გასული წლის მონოლითური ბეტონისა და ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის დავალიანების ანაზღაურება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომპანიების მიერ ვერ განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების წარმოება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,8 %

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებით 2025 წლის 01 მარტიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რეორგანიზებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროდ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროდ. სახელოვნებო

განათლების ხელშეწყობისა და კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის (გარდა კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება) პროგრამების/ქვეპროგრამების, რომლის განმახორციელებელი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები, 2025 წლის 01 მარტიდან აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებლად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები. ამასთან, პროგრამის კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განმახორციელებლად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების მიზნით. განათლების მიმართულებით არსებული დანარჩენი პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებლად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო და მის სიტემაში შემავალი ორგანიზაციები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო 2025 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა, ზოგადი განათლება, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 43 358,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 29 770,7 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 2 საჯარო სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს 16 საჯარო სკოლის მშენებლობა და ერთი საჯარო სკოლის მშენებლობისათვის გადახდილია სანებართვო მოსაკრებელი, სულ გაწეულია 15 497,7 ათასი ლარი:

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2024-2025 წწ). სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კონსტრაქშენი 2022“, რომელიც დაფინანსებულია 930,7 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმში N8 საჯარო სკოლის დამატებითი კორპუსის მშენებლობა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2025-2027 წწ) სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 777-7“, რომელიც დაფინანსებულია 29,3 ათასი ლარით, დასრულდა ღობის მოწყობის სამუშაოები, ასევე შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „კონსტრაქშენი 2022“-მა თანხით 569,1 ათასი ლარი. სასწავლო კორპუსში განხორციელდა ლიფტის მონტაჟი თანხით 68,8 ათასი ლარი, რომელიც განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ;

სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა (ძირითადი და საძილე კორპუსების მშენებლობა 2022-2025 წწ) სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენი“, რომელიც დაფინანსებულია 2 259,5 ათასი ლარით, დასრულებულია კონსტრუქციული ნაწილი და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დასრულების ეტაპზეა;

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 833,0 ათასი ლარით, მიმდინარეობს შენობის საძირკვლის და საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2026 წწ) სამუშაოებს ახორციელებს შპს „ევრო 222“, რომელიც დაფინანსებულია 877,9 ათასი ლარით, დასრულდა შენობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს მიწისზედა კონსტუქციული სამუშაოები;

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა 2024-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „რედი“-ი, რომელიც დაფინანსებულია 347,2 ათასი ლარით, დასრულდა სპორტული დარბაზის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები და რკინაბეტონის საყრდენი კედლის სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს მიწისზედა რკინა ბეტონის სამუშაოები;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2025-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 8,5 ათასი ლარით. დასრულდა ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა (მშენებლობა/რეკონსტრუქცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 886,6 ათასი ლარით, დასრულდა დამატებითი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები, შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ეზოს მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები. ასევე განხორციელდა გაზიფიცირების ქსელზე დაერთების (გაზის მრიცხველი G25-40) საფასურის ანაზღაურება შპს „სოკარ ჯორჯია გაზ“ -ზე თანხით 1,4 ათასი ლარი;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2024-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 866,9 ათასი ლარით. დასრულდა სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ქალაქ ბათუმში ახალი საჯარო სკოლის აშენება (მშენებლობა 2022-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიკა 2010“, რომელიც დაფინანსებულია 2 457,8 ათასი ლარით, დასრულდა სამშენებლო სამუშაოები, ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მიმდინარეობს შიდა სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 745,3 ათასი ლარით. დასრულდა სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს შენობის შიდა და გარე სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ბათუმის N14 საჯარო სკოლა (არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და დამატებითი კორპუსების მშენებლობა 2024-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 94,9 ათასი ლარით. დასრულდა სპორტული და სააქტო დარბაზების სარემონტო სამუშაოები. ასევე სამუშაოებს ახორციელებს შპს „აჭარა“, რომელიც დაფინანსებულია 173,9 ათასი ლარით, განხორციელდა შენობის იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფორუმ კონტრაქტს ლიმიტედის საქართველოს ფილიალი“, რომელიც დაფინანსებულია 1 194,0 ათასი ლარით. მიმდინარეობს ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, რომლის კონსქტრუქციული ნაგებობაც დასრულდა და ასევე მიმდინარეობს ცეკვის სასწავლო სარეპეტიციო კორპუსის მშენებლობა;

სსიპ ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფორუმ კონტრაქტს ლიმიტედის საქართველოს ფილიალი“, რომელიც დაფინანსებულია 504,9 ათასი ლარით. მიმდინარეობს შენობის კონსტრუქციული სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N31 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენ 222“, რომელიც დაფინანსებულია 577,9 ათასი ლარით. დასრულდა საძირკვლის მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობს მიწის ზედა კონსტრუქციული ნაწილის მოწყობითი სამუშაოები;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის მშენებლობა და ძირითადი შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2025-2026 წწ) - სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 48,8 ათასი ლარით;

სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2022-2025 წწ.) - სკოლა აღიჭურვა უახლესი თანამედროვე სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც განახორციელა შპს „ანაგ“-მა, თანხით 1 144,9 ათასი ლარი;

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2025-2027 წწ.) - სკოლაში მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემა და სხვა სამუშაოები, რომელიც განახორციელა მშენებელმა კომპანიამ შპს „კონსტრაქშენ 2022“, თანხით 461,4 ათასი ლარი;

სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2025-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 411,0 ათასი ლარით. დასრულდა დასრულდა შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (იატაკი, კედლები და ჭერი);

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის N1 საჯარო სკოლა (მშენებლობა/რეკონსტრუქცია 2025-2027 წწ) - განხორციელდა სანებართვო მოსაკრებლის გადახდა თანხით 4,0 ათასი ლარი;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს/დასრულებულია 37 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, სულ გაწეულია 12 250,2 ათასი ლარი;

სსიპ სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 211,0 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025წ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 55,8 ათასი ლარით, დასრულდა სპორტული მოედნის მოწყობა;

სსიპ სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ევრო 222“, რომელიც დაფინანსებულია 46,2 ათასი ლარით, მიმდინარეობს შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ღია სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ დიმიტრი ხოზრევანიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ევრო 222“, რომელიც დაფინანსებულია 46,1 ათასი ლარით, მიმდინარეობს სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, გამოიცვალა შენობის სახურავი, მიმდინარეობს იატაკის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 198,1 ათასი ლარით, დასრულებულია ფასადის მოწყობის სამუშაოები და მოეწყო საქვაბე. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ ამირან მამალაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 86,3 ათასი ლარით, დასრულებულია საქვაბის მშენებლობა და მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემა. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ), სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 11,9 ათასი ლარით. დასრულდა სხვადასხვა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები (სპორტდარბაზის და ეზოს ნაწილობრივი მოწყობა). მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ), სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 155,6 ათასი ლარით. დასრულდა სხვადასხვა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები (გათბობის სისტემა, სველი წერტილები და ფასადი). მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025წ) - სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 69,2 ათასი ლარით;

სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 261,7 ათასი ლარით, დასრულებულია შენობის სახურავის მოწყობითი სამუშაოები, მიმდინარეობს შიდა სარეაბილიტაციო და ფასადის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 81,0 ათასი ლარით, დასრულებულია სასწავლო კორპუსის ფასადისა და ეზოს კეთილმოწყობა. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 52,0 ათასი ლარით, დასრულდა შენობის ფასადის, ეზოსა და ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „კონსტრაქშენი 2022“-მა, რომელიც დაფინანსებულია 379,7 ათასი ლარით, დასრულდა შენობის სრული რეაბილიტაცია;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდ“-ი, რომელიც

დაფინანსებულია 8,7 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 8,0 ათასი ლარით, დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025წ) - სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 54,2 ათასი ლარით;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ბილდკინგს“-ი, რომელიც დაფინანსებულია 2 856,5 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის ფასადის მოწყობის სამუშაოები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს საბოლოო მიღება ჩაბარების პროცედურები. დასრულებულია შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე სამუშაობს ახორციელებდა შპს „NEW PALACE“ რომელიც დაფინანსებულია 331,2 ათასი ლარით, დასრულდა სხვადასხვა დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფასადის რეაბილიტაცია და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები);

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მოდერნ, ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 162,8 ათასი ლარით, მიმდინარეობს შენობის სახურავისა და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახანძრო უსაფრთხოება, იატაკი, კედლები და ჭერი;

სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა (2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 354,3 ათასი ლარი, დასრულდა ფასადის სარეაბილიტაციო და შიდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე განხორციელდა გაზიფიცირების ქსელზე დაერთების (გაზის მრიცხველი G40) საფასურის ანაზღაურება შპს „სოკარ ჯორჯია გაზ“ -ზე თანხით 11,5 ათასი ლარი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 15,3 ათასი ლარით. დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 14,6 ათასი ლარით, დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა და შიდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მშენებელი 2017“,

რომელიც დაფინანსებულია 313,8 ათასი ლარით. დასრულდა საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, ღია სპორტული მოედნისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 1 177,1 ათასი ლარით. დასრულდა შენობის შიდა და ფასადის სარეაბლიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები; ასევე სამუშაოებს ახორციელებს შპს „თიქია“, რომელიც დაფინანსებულია 75,7 ათასი ლარით, მიმდინარეობს სააქტო და სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე განხორციელდა გაზიფიცირების ქსელზე დაერთების (გაზის მრიცხველი G40) საფასურის ანაზღაურება შპს „სოკარ ჯორჯია გაზ“ -ზე თანხით 11,5 ათასი ლარი;

სსიპ ომარ ასლანიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლა (2024-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 739,6 ათასი ლარით, დასრულდა ფასადის და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე სამუშაოებს ახორციელებდა შპს „იმედი 21“, რომელიც დაფინანსებულია 100,3 ათასი ლარით, განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ნიუსთარ“-ი, რომელიც დაფინანსებულია 116,2 ათასი ლარით. დასრულდა ფასადის სარეაბილიტაციო და შიდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე სამუშაოებს ახორციელებდა შპს „სისაიდ გრუპი“, რომელიც დაფინანსებულია 138,9 ათასი ლარით, განხორციელდა სკოლის შენობის სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“-ი, რომელიც დაფინანსებულია 17,1 ათასი ლარით, მიმდინარეობს სველი წერტილების მოწყობა;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მოდერნ ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 946,5 ათასი ლარით. მიმდინარეობს ფასადის სარეაბილტაციო სამუშაოები. სასწავლო კორპუსში განხორციელდა ლიფტის მონტაჟი თანხით 67,7 ათასი ლარი, რომელიც განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ;

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 51,8 ათასი ლარით. დასრულდა სპორტული დარბაზის და საკლასო ოთახების იატაკის დაგების სამუშაოები. ასევე სასწავლო კორპუსში ლიფტის

მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 101,7 ათასი ლარით;

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „იმედი XXI“, რომელიც დაფინანსებულია 165,2 ათასი ლარით. დასულდა ბიბლიოთეკის შენობის სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე სამუშაოებს ახორციელებდა შპს „პროფკონსტრუქშენი“, რომელიც დაფინანსებულია 95,3 ათასი ლარით. დასრულდა შიდა სხვადასხვა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2025 წწ) სამუშაოებს ახორციელებდა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 1 730,2 ათასი ლარით. დასრულდა ფასადის მოპირკეთება და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წწ.) - სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 72,9 ათასი ლარით;

სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წწ.) - სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 68,8 ათასი ლარით;

სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ.) - სასწავლო კორპუსში ლიფტის მონტაჟის სამუშაოები განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ, რომელიც დაფინანსებულია 54,6 ათასი ლარით;

სსიპ ქალაქ ბათუმის N22 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2027 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორ 1“, რომელიც დაფინანსებულია 38,1 ათასი ლარით. მიმდინარეობს ფასადის რეაბილიტაცია;

სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025 წ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მოდერნ, ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 83,4 ათასი ლარით. მიმდინარეობს შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახანძრო უსაფრთხოება, იატაკი, კედლები და ჭერი);

სსიპ ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 587,4 ათასი ლარით. დასრულდა ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობისა და იატაკის დაგების სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N29 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 24,7 ათასი ლარით. დასრულდა სახურავის რეაბილიტაცია, ასევე შენობის შიდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, ალტერნატიული უძრავი ქონების დაქირავებაზე (იჯარა) გაწეულია 360,2 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების შენობების და ტერიტორიის სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გაწეულია 300,0 ათასი ლარი, მათ შორის:

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025წ) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 17,6 ათასი ლარით. დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025წ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 105,8 ათასი ლარით, დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა და ეზოს კეთილმოწყობა.

სტიქიის შედეგად დაზიანებული 7 საჯარო სკოლის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი: ხუცუბანის, აჭყვას, დაგვას, ჯიხანჯურის და აჭყვისთავის საჯარო სკოლები და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სალიბაურის N1 და აჭარისწყალის საჯარო სკოლები) სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, თანხით - 51,3 ათასი ლარი.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვის საჯარო სკოლა (2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 10,5 ათასი ლარით. მოეწყო სველი წერტილები.

სსიპ ქომულეთის N2 და სსიპ ხელვაჩაურის მუნიცპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა - სასწავლო კორპუსებში განხორციელდა ლიფტის მონტაჟი თანხით 114,8 ათასი ლარი, რომელიც განხორციელდა სს „აველიჯე მაქინა სანაი ვე თიჯარეთის ფილიალი საქართველში“-ს მიერ.

შენობის უსაფრთხოება და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა (პროექტირება, შემოწმება/შეფასება და სამუშაოები, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) გაწეულია 26,8 ათასი ლარი, მათ შორის:

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის საჯარო სკოლა (2025წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“-ი, რომელიც დაფინანსებულია 13,6 ათასი ლარით. მიმდინარეობს სველი წერტილების მოწყობა და სახანძრო უსაფრთხოება.

სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემათიკის საჯარო სკოლა (2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მოდერნ, ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 13,2 ათასი ლარით. მიმდინარეობს შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახანძრო უსაფრთხოება, იატაკი, კედლები და ჭერი).

35 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის გაწეულია 622,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის კოორდინატორის, მონიტორინგის ჯგუფისა და საპროექტო ჯგუფის შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 245,2 ათასი ლარი.

ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ექსპერტიზაზე გაწეულია 468,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 68,7 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 720,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 900,3 ათას ლარს.

80 საჯარო სკოლა აღჭურვილი იქნა თანამედროვე ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით, სულ 6 500 ერთეული, თანხით 609,1 ათასი ლარი.

ღონისძიების - მომავლის განათლება (კომპლექტი სკოლისთვის) ფარგლებში 24 საჯარო სკოლა აღიჭურვა 173 ცალი სტანდარტული ლეპტოპით თანხით 311,4 ათასი ლარი და 193 სკოლა პროექტორებითა და მისი აქსესუარებით თანხით 277,7 ათასი ლარი.

ღონისძიების - ბიბლიოთეკების რემოდელირების ფარგლებში მომზადდა 6 არქიტექტურული პროექტი და შეძენილია 30 ცალი ლეპტოპი, 6 ცალი პრინტერი, კატრიჯები, 6 საჯარო სკოლის სასკოლო ავეჯი, პროექტორი და მისი აქსესუარები თანხით 237,5 ათასი ლარი.

5 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით (ბენდის კომპლექტით - პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვ.) თანხით 50,0 ათასი ლარი.

10 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე რემოდირებულია, შეძენილია ინვენტარი და სხვადასხვა რესურსი თანხით 194,8 ათასი ლარი.

ღონისძიების - სპორტული ინვენტარის ფარგლებში 30 საჯარო სკოლისთვის შეძენილია სპორტული ინვენტარი საჭიროების მიხედვით, გაცემულია ავანსი თანხით 219,8 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სასკოლო ლაბორატორიები - შეძენისათვის გათვალისწინებული თანხის ათვისება ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდში, რადგან მიმდინარეობდა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის აღჭურვილობის სტანდარტზე მუშაობა, რაც ამ ეტაპზე დამტკიცებულია; ასევე ღონისძიების „მომავლის განათლება“ ფარგლებში პროექტორისა და მისი აქსესუარების შეძენის, ღონისძიების „სახელოვნებო სივრცის რემოდელირება“ ფარგლებში ავეჯისა და რესურსების შეძენის, სასკოლო ინვენტარისა და სპორტული ინვენტარის შეძენისას წარმოქმნილია ტენდერის ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,9 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9 402,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 9 348,7 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა თანხით 9 282,7 ათასი ლარი. გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 66,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის დაზუტებული გეგმა შეადგენს 6 144,5 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 3 765,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება - 1 848,5 ათასი ლარი.

40 სტუდენტმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში გაიარეს სასწავლო პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში გაწეულია ხარჯი 63,0 ათასი ლარი.

ასევე გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე - 16,5 ათასი ლარი.

განხორციელდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“, შეძენელია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები - გაწეულია 340,3 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორცილდა კომუნალური ხარჯების გადახდა თანხით 545,1 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გაწეულია ბსუ-ს კორპუსების მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო ხარჯები თანხით 786,2 ათასი ლარი.

ღონისძიების - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლის იუბილეზე გაწეულია 156,0 ათასი ლარი.

ღონისძიების - „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“-ზე გაწეულია 10,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფატს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის პროექტის შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად არ გამოვლინდა პოტენციური მიმწოდებლები, რომლებიც დადგენილი სავარაუდო ღირებულების ფარგლებში შეძლებდნენ ტენდერში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუშალა სატენდერო პროცედურის გამოცხადებას. შესაბამისად, ობიექტური გარემოებების გამო, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ათვისება საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა.

ასევე სტუდენტების საერთაშორისო სტაჟირების პროცედურების გართულებით, პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან მიღების კვოტების შემცირებით, აკადემიური გრაფიკის შეუსაბამო პრაქტიკის პერიოდთან, ტრანსპორტირებასა და ლოჯისტიკასთან დაკავშირებული სირთულეებით და სხვა.

მიმდინარეობს ღონისძიების - „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, მასთან დაკავშირებული ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ჩათვლით“ - შესაბამისი ტექნიკური დავალების შედგენა, რაც მრავალკომპონენტიანია და მისი დასრულება ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდში.

ასევე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში წარმოქმნილია ეკონომიები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 61,3 %

ქვეპროგრამის - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 500,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 2 215,9 ათას ლარს.

ავტორიზაციის სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდში დასრულდა საკონფერენციო დარბაზის მოწყობა/აღჭურვა და შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაო, მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/აღჭურვა, შესყიდულია მობილური/გადასატანი ხიდურის სიმულატორის ლაბორატორია, კომპიუტერული ტექნიკა და CES-ის იმიტირებული გამოცდის პლათფორმაზე წვდომის პროგრამული უზრუნველყოფის ლიზენზია, რაც დაფინანსებულია 1 860,7 ათასი ლარით.

უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კომუნალური ხარჯების გადახდა თანხით 256,4 ათასი ლარი, კატრიჯებისა და სხვა ქსელური მოწყობილობების შეძენა თანხით 28,5 ათასი ლარი, შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიის დაცვის მომსახურება თანხით 70,3 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერებიდან მიღებული ეკონომიით და სასწავლო ტრენაჟორების პროგრამული უზრუნველყოფის ხელშეკრულების შეუსრულებლობით (მომწოდებელმა ვერ წარმოადგინა საბანკო გარანტია); ასევე, საკრუინგო კომპანიების დაბალი აქტივობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,6 %

ქვეპროგრამის - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 650,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 598,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსებულია უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების მიზნით პროფესორ მასწავლებელების შრომის ანაზღაურება - 1 515,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და ავტორიზაცია“ ფარგლებში განხორციელდა პროგრამების აკრეტიდაციის საფასურისა და ინსტიტუციური ავტორიზაციის საფასურის გადახდა თანხით 47,1 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გაწეულია 35,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,9 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 648,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი 636,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში განხორცილდა კომუნალური ხარჯების, სასწავლო სივრცის კეთილმოწყობა და აკრედირაციის საფასურის გადახდა თანხით 636,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,0 %

პროგრამა - საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 102,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 465,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლები: „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“, „სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა“, „სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა“, „სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა“, „სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა“ და „სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა“ დაფინანსდა 449,6 ათასი ლარით, რაც ძირითადად მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას და მიმდინარე ხარჯებს, ასევე სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლამ ქვეპროგრამის ფარგლებში განახორციელა სასწავლო გეგმის შემუშავების ღონისძიებები და ინფრასტრუტქტურის კეთილმოწყობის შესყიდვისათვის საჭირო ღონისძიებები.

ქვეპროგრამის ფარგლებში საშუალოდ 230 აღსაზრდელს გაეწია საპანსიონო მომსახურეობა.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 16,2 ათასი ლარი.

შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში („სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა"; „სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა"; „სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა") ფუნქციონირების და სხვა თანმდევი ხარჯების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული საოფისე და კომუნალურ ხარჯებში დარჩენილია ეკონომია.

„სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლ"-ის ბაზაზე ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების დაგეგმილი ჯგუფები ვერ იქნა შევსებული, რის გამოც გამოიწვია ეკონომია შრომის ანაზღაურების მუხლში. ასევე სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში არსებული ეკონომიით;

„სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა" (გაძლიერებული ფიზიკა და ინგლისური ენა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის გათვალისწინებული ინვენტარის შეძენაზე რამდენჯერმე გამოცხადებული ტენდერი ვერ შედგა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 42,3 %

ქვეპროგრამის - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 771,6 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 650,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში „სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის", „სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის", „სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა" და „სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის" ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე საშუალოდ 103 სსმ მოსწავლეს გაეწია შესაბამისი მომსახურება თანხით 650,6 ათასი ლარი.

გეგმასა დაფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე ხარჯებისა (ქვეპროგრამის კოორდინატორის ანაზღაურება, კვებისა და სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯების) და კაპიტალური ხარჯების აუთვისებლობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,3 %

პროგრამა - ზოგადი განათლება მოიცავს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 425,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 961,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმებულია 20 პედაგოგი, რაზეც გაწეულია 196,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „საგნების გაძლიერებული სწავლების“ ფარგლებში მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში უზრუნველყოფილია ცალკეული საგნების გაძლიერებული სწავლება, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 126 აბიტურიენტი, ქვეპროგრამით უზრუნველყოფილი იყო მოწვეული 6 მასწავლებლის სასტუმროს, მგზავრობისა და ტექნიკურ მხარდაჭერის ხარჯები, რაზეც გაწეულია 14,0 ათასი ლარი.

„პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 100 პროექტი თანხით 725,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში მასწავლებლებთან შეხვედრის ორგანიზებაზე გაწეულია 14,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში წარმატებულ 2 მასწავლებელს გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო, სულ გაწეულია 12,5 თასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის მიზნით საანგარიშო პერიოდში ნაცვლად 30 მასწავლებლისა დასაქმებულია 20 მასწავლებელი, ასევე მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემასთან დაკავშირებით მიმდინარე ცვლილებების გამო დროებით შეჩერებულია ღონისძიების „ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარება“ განხორციელება. საგნების გაძლიერებული სწავლების კომპონენტში აბიტურიენტთა სიმცირით, მასწავლებელთა წახალისების კომპონენტში შექმნილი ეკონომიით და ქვეპროგრამის მხარდაჭერის კომპონენტში გათვალისწინებული იყო პროექტი „ჩემს გაკვეთილზე“ მონაწილე მასწავლებელთა კონფერენციის მოწყობა, რომელიც ვერ განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 67,5%

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 850,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 599,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია 2024 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით 32 ცალი ლეპტოპი, გაწეულია 57,6 ათასი ლარი და ასევე შეძენილია დიპლომები და სიგელები, რაზეც გაწეულია 0,8 ათასი ლარი. ამასთანავე, შეძენილია კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეებისათის 108 ცალი პლანშეტი და 4 ცალი სმარტ საათი თანხით 35,0 ათასი ლარი.

განხორციელდა კონკურსების ორგანიზება - ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნებისა და ესეების კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, სულ გაწეულია ხარჯი 98,2 ათასი ლარი.

დაფინანსდა 20 სასკოლო კლუბის ინიციატივა თანხით 49,9 ათასი ლარი.

დაფინანსდა 20 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი თანხით 60,0 ათასი ლარი.

ჩატარდა 10 საზაფხულო სკოლა გოდერძის საკურორტო ზონაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 260 მონაწილე, სულ გაწეულია 230,0 ათასი ლარი.

განხორციელდა 3 საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიება: პოლონეთიდან სტუმრების მიღება - 10 მოსწავლე 3 თანხმლები პირი მიღებული იქნა პოლონეთიდან, ესეების კონკურსში გამარჯვებული 10 მოსწავლისა და 3 თანმხლები პირი გამგზავრება პოლონეთში, თურქეთის სამეცნიერო ბანაკში - 10 მონაწილისა და 1 თანმხლები პირის გამგზავრება. სულ გაწეულია 67,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია საზაფხულო სკოლის და საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების ტენდერების ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 70,5 %

პროგრამა - პროფესიული და უმაღლესი განათლება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 490,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 089,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 1 031 სტუდენტის სწავლება თანხით 1 089,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია, იმით რომ წინა წლებში კონკურსის წესით შერჩეულმა სტუდენტებმა ვერ დააკმაყოფილეს პროგრამის ფარგლებში თითო სემესტრზე განსაზღვრული აკადემიური ბარიერი, რის გამოც მათ დაფინანსება შეუწყდათ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 73,1 %

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 415,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 225,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 საერთაშორისო კონფერენცია 144,7 ათასი ლარით, 4 სეზონური სკოლის ორგანიზება თანხით 41,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა“ ფარგლებში ითარგმნა და დაიბეჭდა 4 სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურა თანხით 39,3 ათასი ლარი.

გეგმა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია:

ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიით;

სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვის მიმართულებით, კონკურსის საფუძველზე დაგეგმილი იყო 3 ახალი სახელმძღვანელოს თარგმნა/ბეჭდვის დაფინანსება, თუმცა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეულ იქნა მხოლოდ 2 სახელმძღვანელო;

საერთაშორისო კონფერენციის „ადრეული განათლება და ზრუნვა“ (International Conference on Early Childhood Education and Care – ECEC) ორგანიზების საკითხზე დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, UNICEF Georgia) სამუშაო მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა, რომ ღონისძიება ჩატარდება სამ წელიწადში ერთხელ;

სტუდენტური ფორუმის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებთან გამართული სამუშაო მოლაპარაკებების შედეგად, ფორუმის ჩატარება გადაიდო და დაიგეგმა 2026 წლისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 54,2 %

ქვეპროგრამის - ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 573,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 498,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 32 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით თანხით 31,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 19 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით თანხით 19,0 ათასი ლარი.

ქვეროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების 150 წარჩინებული სტუდენტი, რაზეც გაწეულია 150,0 ათასი ლარი.

50%-70%-100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსებულია 50%-70%-100% გრანტის მფლობელი 386 პირველი კურსის სტუდენტი თანხით 298,5 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია, იმით რომ 2025 წელს კონკურსში მონაწილე ახალმა კანდიდატებმა ვერ დააკმაყოფილეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული საკონკურსო მოთხოვნები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,0 %

ქვეპროგრამის - სწავლა საზღვარგარეთ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 557,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 484,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში საზღვარგარეთ სწავლა დაუფინანსდა 36 სტუდენტს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე და 61 სტუდენტს 1 სემესტრის გაცვლითი პროგრამა საბაკალავრო საფეხურზე, თანხით 1 467,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში გაწეულია 17,0 ათასი ლარი ბენეფიციარებთან შემაჯამებელი შეხვედრების ორგანიზების მიზნით საკონფერენციო დარბაზის ფართის დაქირავებისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,3 %

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 110,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 95,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გაიგზავნა 8 სტაჟიორი საზღვარგარეთ თანხით 16,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა 9 უცხოელის სტაჟირება თანხით 57,0 ათასი ლარი.

გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 20,4 ათასი ლარი.

ღონისძიების ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსებულია სტაჟიორებისათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება თანხით 2,4 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ კონკურსში მონაწილე ახალმა კანდიდატებმა ვერ დააკმაყოფილეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული საკონკურსო მოთხოვნები, ასევე ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,8 %

ქვეპროგრამის - პროფესიული განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 80,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 80,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „კვალიფიკაციის ამაღლება - სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“ ფარგლებში დაფინანსდა 10 პროფესიული განათლების მასწავლებლის საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაწეულია ხარჯი 50,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მიერ ერთობლივად ორგანიზებული საგანმანათლებლო ღონისძიება საერთაშორისო კონფერენცია თანხით 30,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 480,0,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი შეადგენს 1 181,3 ათას ლარს.

პროგრამა ითვალისწინებს ერთი კულტურის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას (2024-2025 წწ), კერძოდ, სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი არსიანი“-ს შენობის რეაბილიტაციას. დასრულდა სველი წერტილების, საკონცერტო დარბაზისა და სცენის მოპირკეთებითი სამუშაოების სრული რეაბილიტაცია, რომელსაც ახორციელებდა შპს „მშენებელი 2016“. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 1 181,3 ათასი ლარით.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია კოორდინატორის ვაკანსიით წარმოქმნილი ფინანსური რესურსით.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 79,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ 2025 წლის 1 მარტამდე კულტურის განვითარების, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიმართულებით განახორციელა სამი პროგრამა:

პროგრამა - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3,2 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 3,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2,1 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1,6 ათას ლარს.

პროგრამა ითვალისწინებდა მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას; რის ფარგლებში განხორციელდა სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის მხარდაჭერა, რისთვისაც გაწეულია 1,6 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს მიმდინარე ხარჯებს.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ხორციელდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს მიერ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 76,2 %

პროგრამის - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 24,8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 24,8 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიისა და სიმღერის მიმართულებით, გაწეულია ხარჯი 24,8 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით სპორტის დეპარტამენტი 2025 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, სპორტის სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროგრამას - სპორტის ხელშეწყობა.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება შვიდი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 655,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 286,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და საერთაშორისო რესპუბლიკურ ტურნირებში, სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯებისა და ფედერაციების წარმომადგენლების მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 541 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 4 286,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,1 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 999,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 994,1 ათას ლარს.

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 534 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის, ასევე შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“-სთვის საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო თანხით 994,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 129,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 082,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 80 სასწავლო-საწვრთნო შეკრება ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, ინდორ ჰოკეის, ბერძნულ რომაული და თავისუფალი ჭიდაობის, მშვილდოსნობისა და ძიუდოს, ძალოსნობისა და რაგბის ნაკრებ გუნდებში. ღონისძიებების პროცესში მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზაციებისათვის საჭირო დარბაზის იჯარით. ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტის დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 12 კოორდინატორი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,8 %

ქვეპროგრამის - ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და მასტერკლასები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 85,4 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული შეხვედრებისა და მასტერკლასების ორგანიზებას, რომლის მიზანია ჯგუფური და ინდივიდუალური უნარების განვითარება ახალგაზრდებში, მონაწილეები შეძლებენ თავიანთი ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ვერ იქნა ჩატარებული, რადგან მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში გამოვლენილი საკითხები საჭიროებდა ცვლილებებს, რომელიც ვერ განხორციელდა.

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 255,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 231,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2025 წლის განმავლობაში ყოველთვიური 260 ლარიანი დახმარება გაეწია 68 ბენეფიციარს (210,3 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 31 ბენეფიციარს - სულ თანხით 16,6 ათასი ლარი. ასევე გაცემული იქნა ერთჯერადი დახმარება სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა ოჯახებზე მათი გარდაცვალების გამო (5 ბენეფიციარი) თანხით 5,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,6 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა და მათ პირად მწვრთნელთა სტიპენდია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 315,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 297,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციების სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის 151 წარმატებულ სპორტსმენზე და მათ პირად მწვრთნელზე გაწეული იქნა მატერიალური წახალისება (სტიპენდია) 297,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,4 %

ქვეპროგრამის - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 045,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 909,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის ჩემპიონატების ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირებში, ფესტივალებში, ჩემპიონატებში, პირველობებში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სპორტსმენთა და მოყვარულთა მონაწილეობა, ასევე ხელი შეეწყობა სასკოლო სპორტის განვითარებას. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 71 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 909,4 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმით დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება, საერთაშორისო და ეროვნული ფედერაციების მიერ იქნა გაუქმებული.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,0 %

სსიპ „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრი“ 2025 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, აქედან „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის“ პროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ერთ პროგრამას.

პროგრამის - ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება სამი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 013,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 771,8 ათას ლარს.

ღონისძიება „გახდი ლიდერი“ განხორციელდა ორ ნაკადად მარტის თვეში, ორივე ნაკადში ერთად ჩართული იყო ჯამში 50 ახალგაზრდა, სატრენინგო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ეფექტური კომუნიკაცია, საჯარო გამოსვლების ტექნიკა, ეტიკეტი, პროტოკოლი, პროექტის წერა, პრეზენტაბელურობა, რისკების მართვა, საკასო ხარჯმა შეადგიან 43,0 ათასი ლარი.

შემეცნებითი ბანაკი - ღონისძიება განხორციელედა რამდენიმე ნაკადად და მასში მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში რეგისტრირებულმა 150 ახალგაზრდამ. შემეცნებითი ბანაკები განხორციელდა საქართველოს ხუთ რეგიონში, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა საინტერესო თემატიკით. ხარჯი გაწეულია 145,0 ათასი ლარი.

ღონისძიება „აჭარის რეგიონალური ლიგა“ განხორციელდა ეტაპობრივად. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა პირველი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აჭარის ექვს მუნიცპალიტეტში შერჩეულმა და გადამზადებულმა გუნდებმა, მეორე ეტაპი ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობა მიიღო აჭარის ექვს მუნიცპალიტეტში შერჩეულმა გუნდებმა. აღნიშნულ ღონისძიებაში ჯამში ჩართული იყო 500-მდე ახალგაზრდა. ხარჯი გაწეულია 60,0 ათასი ლარი.

ღონისძიება „ეკო ბანაკი“ განხორციელდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე. სატრენინგო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საქართველოს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმოხილვას, დაცული ტერიტორიის მნიშვნელობას, მდგრად ეკო განვითარებას, გარემოსდაცვითი ეთიკას, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს და მონიტორინგის მეთოდებს და სხვა. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იყო 25 ახალგაზრდა. ხარჯი გაწეულია 39,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „Art ბანაკი“ წარმოადგენდა საბანაკე ტიპის ღონისძიებას, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ნახატის ყველა კომპონენტს: კომპოზიცია, ფორმა, ხაზი, პლასტიკა, სივრცობრივ-მოცულობითი აზროვნება, პერსპექტივა, ტონალური გადაწყვეტა, შესრულების მანერა და ა.შ. თეორიულ-პრაქტიკული სწავლების შემდეგ ბანაკის მონაწილეებისთვის ხელოვნების უნივერსიტეტში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიება განხორციელდა მაღალმთიან აჭარაში, მასში მონაწილეობა მიიღო 20-მა ახალგაზრდამ, ხარჯი გაწეულია 31,0 ათასი ლარი.

ღონისძიება „მთის ფესტივალი“ ჩატარდა ხულოს, ქედის, შუახევისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო გასართობ-შემეცნებითი სივრცეები, გათამაშებები და სპორტული შეჯიბრებები. ასევე ორი ადგილობრივი ახალგაზრდული ბენდისა და დიჯეის კონცერტი. ღონისძიებაში ჩაერთო ჯამში 3 500-მდე ახალგაზრდა. ხარჯი გაწეულია 127,8 ათასი ლარი.

ღონისძიება „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“ გულისხმობდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობების ორგანიზებას. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა გასართობ-შემეცნებითი ხასიათის ფესტივალი და გაეროს მიერ შერჩეული ყოველწლიური თემატიკის შესაბამისი აქტივობები, რომელსაც დაესწრო აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდები ექვსი მუნიციპალიტეტიდან, ასევე აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ახალგაზრდული კონგრესი. სულ ჩაერთო 2 000-მდე ახალგაზრდა, ხარჯი გაწეულია 162,8 ათასი ლარი.

ღონისძიება „ასტრონომიული ბანაკი“ მიზნად ისახავდა სტუდენტებისა და მოსწავლეების მიკრო და მაკრო სამყაროთი დაინტერესებას და მისი საფუძვლების გაცნობას, სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესის გაღვივებას. ღონისძიება ჩატარდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში და მასში ჩართული იყო 35 ახალგაზრდა. ხარჯი გაწეულია 54,5 ათასი ლარი.

ღონისძიება „საერთაშორისო ტექნოლოგიური სკოლა“ მიზნად ისახავდა აჭარის ახალგაზრდების ციფრული კომპეტენციებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარებას. ღონისძიბის ფარგლებში მონაწილეებმა შეიძინეს პრაქტიკული უნარები თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, მათ შორის პროგრამირებაში, მონაცემთა ანალიზში, დიზაინსა და ციფრულ მარკეტინგში. ახალგაზრდები გაეცნენ საერთაშორისო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტენდენციებს, კიბერუსაფრთხოებასა და ქსელებს, ასევე პროგრამირებას, AI-სა და რობოტიკას, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 16-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა. ღონისძიება ჩატარდა ქუთაისის ტექნოლოგიური სკოლის ბაზაზე და ჯამში მონაწილეობდა 40 ახალგაზრდა. ხარჯი გაწეულია 40,2 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 68,0 ათასი ლარი.

ღონისძიება „პეინტბოლ ჩემპიონატი“ გულისხმობდა როგორც მუნიციპალური, აგრეთვე რეგიონული შეჯიბრებების მოწყობას. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდებში გუნდური მუშაობის, სტრატეგიული აზროვნების და ლიდერული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება, ღონისძიება არ შედგა.

ასევე შექმნილია ტენდერებიდან ეკონომიები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 76,2 %

ქვეპროგრამის - ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 637,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 531,6 ათას ლარს.

ღონისძიებაში „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა“ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობას იღებდნენ 14-29 წლის ახალგაზრდები, დაფინანსება მოიპოვა 57-მა ახალგაზრდამ შემდეგ მიმართულებებით: საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ესპანეთი, პორტუგალია, არაბეთის, გაერთიანებული საამიროები, აშშ, უნგრეთი, იტალია, ლიეტუა, იაპონია,

ტაილანდი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ხორვატია, ფინეთი, საკასო ხარჯმა შეადგინა 123,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „YRC - კლუბი“ ფარგლებში შეირჩა კლუბის წევრი ახალგაზრდები, ჩატარდა აქტივობები: ვიზიტი მოხუცთა თავშესაფარში, ვიზიტები ბავშვთა თავშესაფარში და სხვა მოხალისეობრივი კამპანიები. მოხალისეები ახორციელებდნენ მოხალისეობრივ პროექტებს, იღებდნენ მონაწილეობას ორგანიზაციის პროექტების განხორციელებაში. ტარდებოდა ინტელექტუალური თამაშები, როგორიცაა რა? სად? როდის?, ფილმების ჩვენება-განხილვები, სხვადასხვა ტიპის სამაგიდო თამაშები და სხვა. ჰქონდათ ვიზიტი მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე, ასევე მიიღეს მონაწილეობა საბანაკე ტიპის ღონისძიებაში კოლხეთის დაბლობზე, სადაც ჩაუტარდათ ტრენინგები მოხალისეობის მიმართულებით. მოხალისეობის საერთაშორისო დღეს გამოვლინდნენ წლის განმავლობაში ყველაზე აქტიური წევრები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებითა და ფასიანი საჩუქრებით. ღონისძიებაში ჩართული იყო 120 ახალგაზრდა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 46,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „რა? სად? როდის?“ ფარგლებში განხორციელდა აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ქობულეთისა და ხელვაჩაურის ტურები, ბათუმის სასკოლო რეგულარული ჩემპიონატის ორი ტური, სტუდენტური რეგულარული ჩემპიონატის ორი ტური და საგაზაფხულო ჩემპიონატი. მონაწილეობა მიიღო ჯამში 372 გუნდმა. მეორე კვარტალში განხორციელდა რეგიონული ჩემპიონატისა და საზაფხულო ჩემპიონატების ფინალები. მუნიციპალურ შესარჩევ ჩემპიონატებში მონაწილეობა მიიღეს გამარჯვებულმა გუნდებმა და გადაეცათ ფასიანი პრიზები. ღონისძიებაში ჩართული იყო 1 860 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგიან 57,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „YRC ელჩი“ ფარგლებში აჭარის 6 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (ხულო, ქედა, შუახევი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ბათუმი) ჩატარდა ტრენინგ-სემინარები, რომელსაც წარუძღვნენ სერტიფიცირებული ტრენერები. განხორციელდა ახალგაზრდების მიერ ერთობლივი პროექტების ინიცირება, ინიციატივების/იდეების/პროექტების გენერირება ახალი ინციატივების წამოყენება და პროექტების შემუშავება. მუნიციპალიტეტების მიხედვით, მოხდა საჭიროების მიხედვით, პროექტების ინიცირება და თითოეული პროექტის ფარგლებში, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა და გადაცემა თითოეული გუნდისთვის. ჯამში 6 პროექტი. ჩართული იყო 30 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 44,8 ათასი ლარი.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი - აღიშნულ ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ღონისძიების პირველ ეტაპზე ჩატარდა ლექცია, რომელსაც წარუძღვნენ სერთიფიცირებული ტრენერები და სპიკერები. კონფერენციის მეორე და მესამე ეტაპი დაეთმო პრაქტიკულ სამუშაოებს, როგორიცაა ჯგუფში მუშაობა, საერთო პროექტების, იდეების შემუშავება და პრეზენტაცია, ჩართული იყო 40-მდე ახალგაზრდა. ჯამში ანაზღაურდა 50,0 ათასი ლარი.

ღონისძიება „ციფრული ფოტოგრაფია“ გულისხმობდა საბანაკე ტიპის აქტივობის ორგანიზებას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: მობილური ფოტოგრაფია და მობილური ჟურნალისტიკა, სხვადასხვა სოციალური პლატფორმის სპეციფიკა კონტენტის შექმნისას. მონაწილეობა მიიღეს 18-29

წლის ახალგაზრდებმა. ღონისძიება განხორციელდა ქალაქ ქუთაისში. ჩართული იყო 25 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 31,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „დებატ ბანაკი“ მიზანს წარმოადგენდა აჭარის ახალგაზრდების მხარდაჭერა და მასიური გააქტიურება, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა. ღონისძიების ფარგლებში ჩართული იყო აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 14-დან 18 წლის ჩათვლით ასაკის 24-მა ახალგაზრდამ. ჩემპიონატში გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 29,9 ათასი ლარი.

ღონისძიებაში „საერთაშრისო ახალგაზრდული ფორუმი“ მონაწილეობდნენ 18-29 წლის ჩათვლით ახალგაზრდები - ჯამში 40 ახალგაზრდა (20 უცხოელი, 20 ქართველი). ღონისძიებამ ხელი შეუწყო მათ შორის კულტურულ-შემეცნებითი და ინტელექტუალური ღირებულებების გაცვლას, აგრეთვე ჩატარდა კონფერენცია, რომელსაც წარუძღვნენ სერთიფიცირებული ტრენერები და სპიკერები, ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 67,1 ათასი ლარი.

ღონისძიება „ინტელექტუალური სივრცე“ განხორციელდა ორ ნაკადად: ტრენინგ-სემინარები და პრაქტიკული ვორქშოფები ბიზნესინოვაციების მიმართლებით ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით - ბათუმის საზღვაო აკადემიაში. ღონისძიება ორივე ლოკაციაზე პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა, ჯამში მონაწილეობა მიიღო 60-მა ახალგაზრდამ. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 26,8 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 54,9 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 83,4 %

ქვეპროგრამის - კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 478,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 364,2 ათას ლარს.

„თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ღონისძიება ითვალისწინებდა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას სხვადასხვა მიმართულებით, როგორიც არის: საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სოციალური პროექტები. თავისუფალი ინიციატივების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ბიუჯეტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 3,0 ათას ლარს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საანგარიშგებო პერიოდში შემოვიდა 17 საპროექტო განაცხადი, საიდანაც დაფინანსება მიიღო 8 პროექტმა, საკასო ხარჯმა შეადგინა 22,3 ათასი ლარი.

ღონისძიება „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ გულისხმობდა 14-29 წლის ახალგაზრდების მხარდაჭერას პროფესიული უნარჩვევების განვითარების მიზნით და მათთვის სასურველ მიმართულებებში სასერტიფიკატო კურსების დაფინანსებას.

თითოეულმა მონაწილემ მიიღო სასწავლო კურსის დაფინანსება მაქსიმუმ 0,8 ათასი ლარის ოდენობით, აპლიკანტები დაფინანსდნენ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში: სოციალური მედია მარკეტინგი, კომპიუტერული პროგრამირება, გრაფიკული დიზაინი და სხვა. 2025 წლის განმავლობაში სულ დაფინანსება მიიღო 46-მა ახალგაზრდამ. საკასო ხარჯმა შეადგინა 30,8 ათასი ლარი.

ღონისძიება „კარიერული განვითარების მხარდაჭერა“ გულისხმობდა აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ანაზღაურებადი სტაჟირების შეთავაზებას. ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდებს მიეცათ შანსი მათთვის საინტერესო მიმართულებებში გაევლოთ სტაჟირება ღია შრომის ბაზარზე. თითოეული მათგანი იღებდა ანაზღაურებას როგორც დამსაქმებლის, ისე ახალგაზრდობის რეგიონული ცენტის მიერ, მინიმუმ 0,5 ათასი ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში ჩართული იყო 11 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 16,9 ათასი ლარი.

ღონისძიების „ახალგაზარდული კონფერენცია“ ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალება ქონდათ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან მიეღოთ დეტალური ინფორმაცია, კონფერენციის მიმდინარე საკითხებზე. ღონისძიება განხორციელდა აჭარის 6 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, სადაც ჩართული იყო 150 ახალგაზრდა. საკასო ხარჯი შეადგენს 18,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროფორიენტაციის ბანაკი“ ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის განხორციელდა ბანაკი, სადაც ახალგაზრდებს ჩაუტარდათ სალექციო კურსები პროფესიის არჩევასა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით. ღონისძიება ჩატარდა 2025 წლის 8-14 სექტემბერს, რომელშიც ჩართული იყო 25 ახალგაზრდა. საკასო ხარჯი შეადგენს 26,4 ათას ლარს.

ღონისძიება „თემატური ფორუმები“ გულისხმობდა ტრენინგების ციკლის ჩატარებას სხვადასხვა მიმართულებით. ღონისძიების ფარგლებში სამ ნაკადად განხორციელდა ტრენინგების ციკლი, ისეთ თემატურ მიმართულებებში როგორიცაა: სპორტი, ტურიზმი და კულტურა. ფორუმის ფარგლებში განხორციელდა აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული 90-მდე ახალგაზრდისთვის გამოცდილების გაზიარება, ცნობიერების ამაღლება, სალონური საღამოები და წარმატებული შედეგების განხილვა ამ სფეროში მოღვაწე ცნობილ ადამიანებთან. საკასო ხარჯმა შეადგინა 100,1 ათასი ლარი.

„სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა“ ღონისძიება გულისხმობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას, წახალისებას, კარიერული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და მათ მიერ ინიცირებული პროექტების სხვადასხვა მიმართულებით დაფინანსებას. სასწავლებლების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დაფინანსდა 5 საპროექტო განაცხადი, რის შემდეგადაც მათ გადაეცათ პროექტის შესაბამისად მოთხოვნილი საქონელი, პროექტში ჩართული იყო 25 ადამიანი. საკასო ხარჯმა შეადგინა 43,5 ათასი ლარი.

„YRC-აკადემია“ ღონისძიება გულისხმობს მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებში, როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული გამოცდილების მიღებას, ღონისძიება ჩატარდა 2 ნაკადად, პირველ ეტაპზე ჩატარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით, ხოლო მეორე ეტაპზე ადამიანური რესურსების

მართვის მიმართულებით, ღონისძიებაში ჩართული იყო 30 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 40,0 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 65,8 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ ღონისძიება „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ და „კარიერული განვითარების მხარდაჭერა“ დამოკიდებულია ბენეფიციარების მომართვიანობაზე და შესაბამისად დაბალი იყო მომართვიანობა, აგრეთვე ღონისძიება „კარიერული განვითარების ხელშეწყობა“, რომელიც გულისხმობდა აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ანაზღაურებად სტაჟრებას, აღნიშნულ ღონისძიებაშიც მომართვიანობა იყო დაბალი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 76,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2025 წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა.

ქვეპროგრამის - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 559,8 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 553,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ხელშეკრულებით აყვანილია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ხარჯი გაწეულია 528,3 ათასი ლარი.

შესყიდულია სამი ერთეული კომპიუტერის კომპლექტი - 5,5 ათასი ლარი, სამი ერთეული სკანერი 18,0 ათასი ლარი, 15 ერთეული უწყვეტი კვების წყარო - 1,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2025 წელს ახორციელებს 8 პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის

მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ცხრა ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 11 500,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 11 499,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 359 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 4 211,0 ხოლო 148 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 027,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 026,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 197 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 137, ხოლო 60 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9%

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 907,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 907,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 12 164 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 10 384, ხოლო 1 780 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 995,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 986,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება (თანადაფინანსება), თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 149 ბენეფიციარი, აქედან ანაზღაურებულია 149 ბენეფიციარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 11 953,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 11 953,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 868 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 540, ხოლო 1 328 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4 500,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 499,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 163 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 792, ხოლო 1 371 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 099,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 098,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 997 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 623, ხოლო 374 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 190,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 190,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 790 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 540, ხოლო 250 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 130,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 129,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 186 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 162, ხოლო 24 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 923,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 922,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სსიპ „სოციალურ მომსახურების სააგენტოს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების მერიების მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი სიების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულია სულ 43 ექიმი და 46 ექთანი, ხოლო ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ 64 ექიმი და 64 ექთანი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 113,1 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 112,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯანდაცვისა და ა(ა)იპ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრებისათვის ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემას შემდგომში მათ მიერ ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით მოწყვლადი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. სამინისტროს მიერ 149 ცალი ჟანგბადის კონცენტრატორის შესყიდვისათვის გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT240024925) 2024 წლის 12 დეკემბერს, გამარჯვებულმა კომპანიამ შ.პ.ს „ჯეოორთო“-მ უზრუნველყო ჟანგბადის 149 კონცენტრატორის მოწოდება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,0 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 380,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 380,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 835 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 731 ვაუჩერი, ხოლო 104 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 409,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 408,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 9 294 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 8 494. ხოლო 800 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 633,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 632,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 133 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 4 109 ვაუჩერი, ხოლო 24 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 511,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 510,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 13 824 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 12 916, 908 ვაუჩერის მფლობელი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

პროგრამა - მოსახლეების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს შვიდ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 69,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 69,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 46 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 142,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 139,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 46 ახალშობილი ტყუპის ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,9 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9 884,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 9 826,1 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან 821 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 7 628,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 816 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯები 7 577,7 ათასი ლარი, ხოლო 778 ოჯახზე მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი 1 011,4 ათასი ლარი დაფინანსებულია სრულად, ასევე 222 ბენეფიცირის სხვადასხვა მომსახურებაზე გამოყოფილი 1 245,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 222 ბენეფიციარი - 1 237,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 570,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 570,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული და შშმ მეომრის ოჯახს (44 დედასა და მეუღლეს) ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 5,0 ათასი ლარი.

ომში დაღუპული და შშმ 35 მეომრის ოჯახს აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 121,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 120,4 ათას ლარს.

მატერიალური დახმარება გაეწია 21 მზრუნველობამოკლებულ პირს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

ქვეპროგრამის - შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 64,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 64,0 ათას ლარს.

სამ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობლებსა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა) 32 მოქალაქეს ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცა თითოეულს 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 147,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 144,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე, რომლის შემადგენლობაში არის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც, ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარების გაწევას. საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1 941 ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 309,3 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 303,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 247 ვაუჩერი, რის საფუძველზეც გაიცა 262 აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,0 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 489,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 488,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 511 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 495 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 755,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 754,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 855 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 834.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

პროგრამის - მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 460,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 460,0 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 91 ბენეფიციარს. 1 460,0 ათასი ლარით დაფინანსდა ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, განხორციელდა რეაბილიტაცია მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად, მედიკამენტოზური მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 532,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 516,9 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართულია 64 ბენეფიციარი. 516,9 ათასი ლარით დაფინანსდა სხვადასხვა პრობლემების მქონე, მათ შორის მარტოხელა, მიუსაფარი და ძალადობაგანცდილი დედების და ბავშვების, თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება და სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,1%

ქვეპროგრამის - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 803,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 803,2 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 119 ბენეფიციარს. 2 803,2

ათასი ლარით დაფინანსდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისის 24 ბენეფიციარის თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემოს, სხვადასხვა აქტივობების და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8 690,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 8 660,3 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 170 საცხოვრებელი სახლის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 8 495,1 ათასი ლარი, სახლების ექსპერტიზისათვის გადახდილია 130,4 ათასი ლარი, ხოლო სარეგისტრაციო მომსახურების საფასურისათვის გახარჯულმა თანხამ შეადგინა 34,8 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 401,1 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 383,3 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა:

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 1 782 ბავშვს, მათ შორის: ბათუმი - 1 281, ქობულეთი - 172, ხელვაჩაური - 173, ქედა - 40, შუახევი - 44, ხულო - 72. საჭიროების მიხედვით რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა და ინსტრუმენტული გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია ჩაუტარდა 142 ბენეფიციარს.

ბ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში:

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა ანტენატალურ კომპონენტში ჩართული 3 259 ორსული, თითოეულ მათგანს ჩაუტარდა ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, განესაზღვრა თავისუფალი თირეოტროპული ჰორმონის დონე. ბათუმის მუნიციპალიტეტი - 3 155 ორსული, ქობულეთი -104 ორსული.

გ) სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა - მეორეული დიაგნოსტიკის ღონისძიებით ისარგებლა 30 - ბენეფიციარმა (ქობულეთი - 24, ხელვაჩაური - 2, ქედა - 2, შუახევი - 1, ხულო-1), მათ შორის ტიმპანომეტრია-30.

დ) ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტირებისა და მართვის დაგეგმვის მიზნით ღონისძიებით ისარგებლა 350 ბენეფიციარმა, მ.შ: ალერგოლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 350-ს, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 350-ს, კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 350-ს, სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა 115-ს. ბათუმი - 225, ქობულეთი - 46, ხელვაჩაური - 49, ქედა - 16, შუახევი- 4, ხულო- 10.

ე) აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩაუტარდა 275 ბენეფიციარს, მ.შ. ბათუმი - 196, ქობულეთი - 34, ხელვაჩაური - 20 ქედა - 4, შუახევი - 8, ხულო - 13. ADOS ტესტი მათგან ჩაუტარდა - 240 -ს.

ვ) C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა: საანგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩაუტარდა 9 132 ბენეფიციარს, C ჰეპატიტზე დადებითი - 15, აივ ინფექციაზე დადებითი - 2.

ზ) მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ღონისძიებით ისარგებლა 766-მა ორსულმა, მ.შ. ბათუმი - 477, ქობულეთი - 81, ხელვაჩაური - 117, ქედა - 37, შუახევი - 13, ხულო - 41. ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა - 3 676;

თ) ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი - პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 2 000 ახალშობილს, ღონისძიებით ისარგებლა 2 000 ბენეფიცარმა, მ.შ. ბათუმი - 1 337, ქობულეთი - 331, ხელვაჩაური - 204, ქედა - 57, შუახევი - 26, ხულო - 45. განმეორებითი ტესტით ისარგებლა - 22-მა ბენეფიციარმა.

ი) სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი - 1 000 ბავშვს ჩაუტარდა კარდიული სკრინინგი, მ.შ. ბათუმი - 853, ქობულეთი - 17, ხელვაჩაური - 73, ქედა - 31, შუახევი - 2 და ხულო 24.

კ) აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა განხორციელდა - 18 ვიზიტი, მ.შ. ქედა - 4, შუახევი - 6, ხულო - 8, გამოკვლეულია სულ 651 ბენეფიციარი, მათ შორის - ქედა - 136, შუახევი - 218, ხულო - 297.

ლ) ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში, ტყვიის შემცველობის განსაზღვრა: კვლევა ჩაუტარდა 2 594 ორსულს, მათ შორის ბათუმი - 1 630, ქობულეთი - 332, ხელვაჩაური - 351, ქედა - 97, შუახევი - 58, ხულო - 126. განმეორებითი კვლევა ჩაუტარდა 95 ბენეფიციარს.

მ) NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი: სკრინინგი ჩაუტარდა 200 ორსულს, მ.შ. ბათუმი - 126, ქობულეთი - 26, ხელვაჩაური - 26, ქედა - 9, შუახევი - 5, ხულო - 8.

ნ) ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი: დენსიტომეტრიული კვლევა ჩაუტარდა 600 ბენეფიციარს, მ.შ. ბათუმი - 419, ქობულეთი - 73, ხელვაჩაური - 67, ქედა - 12, შუახევი - 15, ხულო - 14.

ო) ცელიაკიის სკრინინგი ბავშვებში: სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 500 ბავშვს, მ.შ. ბათუმი - 321, ქობულეთი - 75, ხელვაჩაური - 68, ქედა - 13, შუახევი - 8, ხულო - 15.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,7 %

დასაქმების ხელშეწყობის მხრივ სსიპ დასაქმების სააგენტომ განახორციელა ცხრა ქვეპროგრამა, აქედან „დასაქმების ხელშეწყობის მართვის“ ქვეპროგრამა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და 8 ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 180,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 175,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე პირთა გადამზადებას საზღვაო ტურიზმის მიმართულებაში, იმ უნარების განვითარების მიზნით, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საზღვაო სფეროში (საკრუიზო ლაინერებზე) დასაქმების ხელშეწყობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შეირჩა 36 მოსარგებლე, რომლებიც გადიან სწავლებას საკრუიზო ლაინერზე მიმტანის, საკრუზიო ლაინერზე ბართენდერის და მიღება-განთავსების პროფესიულ მიმართულებებში. მათგან 27-მა დაასრულა სრული სასწავლო კურსი და სერთიფიცირდა, ხოლო 9 გაირიცხა სწავლის პროცესში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3 %

ქვეპროგრამის - საკვანძო კომპეტენციების განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 127,5 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 127,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს - დაინტერესებული პირებისათვის მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების შეთავაზებას შემდეგ მიმართულბებში: მულტილინგვინური კომპეტენცია-დარგობრივი უცხო ენა, ციფრული კომპეტენცია, ვექტორული და გრაფიკული პროგრამები - 3D Max; Photoshop; Illustrator; InDesign; Corel DRAW; სასტუმრო, სარესტორნო, სასაწყობე პროგრამები - ხელს შეუწყობს როგორც სამუშაოს მაძიებელს, ასევე მცირე მეწარმეს საქმიანობის წამოწყება/განვითარებაში.

ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავდა სასწავლო პროგრამები, შეირჩა 150 მოსარგებლე, რომლებმაც გაიარეს ინგლისურის, გერმანულის, რუსულის, საოფისე საქმის, მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით სწავლება და მიიღეს სერთიფიკატები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 155,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 154,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი კონსულტანტების მიერ განხორციელდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში 1 138 სამუშაოს მაძიებლის, 135 ორგანიზაციისა და 786 ვაკანსიის რეგისტრირება; მოხდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 331 ბენეფიციარის დასაქმება;

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა მასშტაბური დასაქმების ფორუმი, სადაც წარმოდგენილი იყო 75 კომპანია, 350 აქტიური ვაკანსიითა და 1 950 სამუშაო ადგილით

შემდეგი საქმიანობის სფეროებიდან - კვებისა და განთავსების ობიექტები, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა და დისტრიბუცია, მშენებლობა, ფინანსები და დაზღვევა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

ქვეპროგრამის - შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 37,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 36,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ქვეპროგრამაში ჩართვის მსრუველი შშმ პირთა მობილიზება და ინდივიდუალური შეფასება, შეფასების საფუძველზე კარიერული განვითარების გეგმის შედგენა; კომპანიების საჭიროებებისა და მოთხოვნების მოკვლევა; 10-მა ბენეფიციარმა გაიარა სწავლება შემდეგ პროფესიებში: კონდიტერი, დასუფთავების სპეციალისტი, მზარეული, ვიდეო-კამერების მეთვალყურე, მეტალო პლასტმასის ხელოსანი, სამკერვალო ნაწარმის მომზადება. სერთიფიცირდა 10 მოსარგებლე, კურსდამთავრებულთან 6 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 329,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 325,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი საქმიანობა:

პროფესიული მომზადების 85 მოსარგებლე გადიოდა სწავლებას შემდეგ პროფესიებში: ბართენდერი, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ელექტროობა, შედუღება, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, სასტუმროს მომსახურება, ღვინის მარნის მასპინძელი და საოჯახო ტიპის სასტუმროს მომსახურება. მათგან 83-მა დაასრულა სრული სასწავლო კურსი, ხოლო 2 გაირიცხა სწავლის პროცესში.

სამუშაო გამოცდილების მქონე 20-მა მოსარგებლემ გაიარა გადამზადების კურსი კულინარიის ხელოვნების, შედუღების, ელექტროობის და მძიმე ტექნიკის ოპერატორის პროფესიულ მიმართულებებში.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების 80 მოსარგებლემ გაიარა სწავლება მიმტანის, მიღება-განთავსების სპეციალისტის, დასუფთავების სპეციალისტის, კონდიტერიის, მზარეულის, ფიზიკური თერაპიის, სპორტული მასაჟის და სალონის საქმის მიმართულებებში.

სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე 20 პირი ჩაერთო აღიარების პროცესში და მათ უღიარდა არაფორმალური განათლება კულინარიის ხელოვნების, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების, საავტომობილო გზების, შედუღების და კონდიტერიის პროფესიებში;

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება მიიღო 205-მა მოსარგებლემ და სერტიფიცირდა 203 მოსარგებლე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,8 %

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 30,5 ათას, ხოლო საკასო ხარჯი 30,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელმშემწყობი ღონისძიებების გატარებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარებასა და დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას. კონკურსის გზით შერჩეულმა 40-მა ბენეფიციარმა გაიარა სწავლება/სტაჟირება სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების, გაყიდვების, ადამიანური რესურსების, ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ლოჯისტიკის მიმართულებებში. სერთიფიცირდა 40 ბენეფიციარი, ხოლო კურსდამთავრებულთაგან 19 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 38,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 37,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ახალგაზრდებში დარგობრივი ინგლისურის, კომპიუტერული და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული უნარების შეძენა/განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 20 მოსარგებლემ. 10-მა მოსარგებლემ გაიარა საბაზისო კომპიუტერული უნარების შემსწავლელი კურსი, 10-მა მოსარგებლემ Front-end, Back-end და Database მომზადების კურსი. კურსდამთავრებულთაგან 12 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

ქვეპროგრამის - დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 86,7 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 86,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, პროფესიული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე პირთათვის, პროფესიული საქმიანობის წამოწყება/განვითარების მხარდაჭერას, შესაბამისი სამუშაო აღჭურვილობის უზრუნველყოფით. ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სამუშაო იარაღების შესყიდვის პროცედურები.

ქვეპროგრამის ფარგლებში, კონკურსის შედეგად 11 პროფესიული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მოსარგებლე, პროფესიული საქმიანობის წამოწყება/განვითარების მხარდაჭერის მიზნით უზრუნველყოფილ იქნენ სამუშაო იარაღი/მოწყობილობა/ინვენტარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები 2025 წელს ახორციელებს 16 პროგრამას. აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2025 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს, და შემდეგ 2 პროგრამას: აგროსექტორის მდგრადი განვითარების და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - აგროსექტორის მდგრადი განვითარება მოიცავს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 53,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 38,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „აგრარული ფორუმი“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 1 აგრარული ფორუმი სახელწოდებით „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“, საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 18,7 ათასი ლარი, ფორუმის ორგანიზებისთვის ელექტრონული ტენდერის შედეგად მიღებულია ეკონომია.

ღონისძიების „აგრარული ფესტივალი“ ფარგლებში 2025 წლის 13 აპრილს ქ. ბათუმში ა(ა)იპ „ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია ფორეჯის“ მიერ ჩატარდა აგრარული ფესტივალი სახელწოდებით „თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი 2025“ და 2025 წლის 16-17 აგვისტოს ქ. ბათუმში ა(ა)იპ „აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაციის“ მიერ ჩატარდა აგრარული ფესტივალი სახელწოდებით „შავი ზღვის თაფლის ფესტივალი 2025“, საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 19,6 ათასი ლარი, ხოლო აგრარული ფესტივალის „მეღვინეობა და ღვინის წარმოება“ განხორციელების წესის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი, თუმცა საკონკურსო განაცხად(ებ)ი არ წარმოდგენილა. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი არ იქნა ათვისებული.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,7 %

ქვეპროგრამის - აგრარული ექსტენციის მიწოდება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 342,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 294,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „მუშა - მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, ექსტენციონისტი (10 კაცი)“ ფარგლებში აგრარული დარგის 9 სპეციალისტთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 265,5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში 9 ექსტენციონისტის მიერ შესაბამისი აგროფაზების მიხედვით - მემცენარეობაში, მესაქონლეობაში, მეფუტკრეობაში და მეთევზეობაში განხორციელდა ექსტენციის მომსახურების მიწოდება 4 793 ფიზიკურ და იურიდიული პირზე, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური, ასევე სატელეფონო ექსტენციის სახით.

ღონისძიების „ექსტენციისათვის საჭირო სამუშაო ფორმების შეძენა“ ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შედეგად, შესყიდულია აგრარული ექსტენციის მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ტანსაცმელი (კეპი - 21 ცალი, ჟილეტი - 21 ცალი, ზამთრის ქურთუკი - 21 ცალი) ღირებულებით - 3,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „საინფორმაციო მასალების მომზადება“ ფარგლებში, შესყიდულია საინფორმაციო მასალები: 2 550 ბროშურა და 6 350 ტრიპლეტი, ღირებულებით - 4,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისათვის განხორციელებული აგროტური“ ფარგლებში განხორციელდა 2 აგროტურის მომსახურება, I აგროტური: სამეგრელო - სოფელ მუხურში მდებარე სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს მუხურის მეფუტკრეობის კვლევითი და ექსპერიმენტალური ბაზა; შპს „აი ჯი აგრო“-ს თხილის საწარმო; შპს „ქისტოუნ აგრო“-ს ლურჯი მოცვის პირველადი წარმოება; შპს „ლაურუსი“-ს დაფნის გადამამუშავებელ საწარმო და იმერეთი - მესათბურე ფერმერი „მაკა ახობაძი“-ს მეურნეობა, ხოლო II აგროტური: მცხეთა - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის „ჯიღაურას მრავალწლოვან კულტურების საცდელ-სადემონსტაციო ბაზა“; შპს „ვექტეუმ 2015“ კაკლის ბაღი და გადამამუშავებელი საწარმო და შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ ჩირის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 5,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა“ ფარგლებში ღონისძიების განხორციელების პროცედურების შესაბამისად გადამზადდა 48 ქალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიებში, საკასო ხარჯმა შეადგინა 14,8 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ექსტენციონისტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის პროცედურების შეფერხების, მეფუტკრეობის მიმართულებით დარჩენილი ვაკანტური პოზიციის და სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,0 %

პროგრამის - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5 368,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 5 200,6 ათას ლარს.

ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ შემუშავებული პროექტების დაფინანსებას (სუბსიდირებას). შემუშავებული და დამტკიცებული ღონისძიების გეგმა/გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა საინფორმაციო/ საკონსულტაციო შეხვედრები რეგიონის მოსახლეობასთან. შემუშავდა და დამტკიცდა ღონისძიების განხორციელების წესი, აღნიშნული წესის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა 2025 წელს მიღებული - 8,477

განაცხადი, აგრეთვე 2024 წლიდან აგროვადების გათვალისწინებით დარჩენილი 55 განაცხადი. განხილვის შედეგად შერჩეულ იქნა 6,893 ბენეფიციარი, საიდანაც 218 ბენეფიციარმა უარი განაცხადა პროგრამაში მონაწილეობაზე, რის შედეგადაც თანადაფინანსება გაეწია - 6,675 ბენეფიციარს. საკასო ხარჯმა შეადგინა 4 794,1 ათასი ლარი.

ღონისძიების „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (12 ადამიანი)“ ფარგლებში გაფორმდა 11 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 345,4 ათასი ლარი. პროგრამის ფუნქციონირების/ადმინისტრირების ხარჯებმა შეადგინა 8,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში საანგარიშგებო პერიოდში შემუშავებულია განხორციელების წესი, ასევე თანადაფინანსებულია 2022 წელს მიღებული განაცხადებიდან ერთი ბენეფიციარი თანხით 52,9 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 96,9 %

ააიპ „აგროსერვის ცენტრი“ 2025 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას.

პროგრამა - აგროსერვისის განვითარება რეგიონში მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვას, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს და შემდეგ სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 477,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 455,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ღონისძიების შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (5 ადამიანი) ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 4 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 92,3 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 16,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეფუტკრეების დადან-ბლატის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტით უზრუნველყოფა“ ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად 168 მეფუტკრე ფერმერზე საანგარიშო პერიოდში თანადაფინანსებით გაცემულია 2 000 ერთეული დადან-ბლანტის ტიპის სკა, საკასო ხარჯმა შეადგინა 346,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,4 %

ქვეპროგრამის - აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 702,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 606,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების (5 ადამიანი)“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 5 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 96,0 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 85,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების 11 ადამიანი“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურესთან 10 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 31,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ის მექანიზაციის საშუალებებით განხორციელდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული - 596 ჰა სახნავ-სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება, კერძოდ: დახვნა - 546 ჰა; დადისკვა - 180 ჰა; დაფარცხვა - 250 ჰა; დაუხნავის დაფრეზვა - 50 ჰა“ ფარგლებში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ის მექანიზაციის საშუალებებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული 470,5 ჰა სახნავ-სათესი ნაკვეთები უსასყიდლოდ დამუშავდა, კერძოდ: დაიხვნა - 470,50 ჰა; დაიდისკა - 66,5 ჰა; დაიფარცხა - 176,91 ჰა, საკასო ხარჯმა შეადგინა 118,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში / სარგებლობაში არსებული - 1 842 ჰა სახნავ-სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება, კერძოდ: დახვნა - 1 342 ჰა; დადისკვა - 1 000 ჰა; დაფარცხვა - 1 100 ჰა; დაუხნავის დაფრეზვა - 500 ჰა“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული - 1 727,82 ჰა სახნავ-სათესი ნაკვეთები უსასყიდლოდ დამუშავდა, კერძოდ: დაიხვნა - 1 258,12 ჰა; დაიდისკა - 1 040,74 ჰა; დაიფარცხა - 1 095,3 ჰა; დაიფრეზა - 469,7 ჰა. საკასო ხარჯმა შეადგინა 1 275,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,4 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 997,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 843,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გზით შეძენილი იქნა 30 000 ცალი ციტრუსის საძირე ტრიფოლიანტი, ტყემლის, ვაშლის, ბლის, მსხლის საძირეები, 120 კგ ცვილი ვაზის მყნობისათვის, ტორფის სუბსტრატი 330 000 ლიტრი, ციტრუსის, ხეხილის და ვაზის ნერგების წარმოებისათვის შეძენილია 60 000 ცალი ქოთანი, ასევე საჩითილე მეურნეობისთვის შეძენილია 300 000 ცალი ბოსტნეულის თესლი, აგროქიმიკატები და პეცტიციდები.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში საანგარიშო პერიოდში წარმოებულია ციტრუსის 22 500 ცალი ახალი ნამყენი, ხეხილის 3 900 ცალი ახალი ნამყენი, ციტრუსის 15 000 ცალი ერთწლიანი ნერგი, ხეხილის 3 000 ცალი ერთწლიანი ნერგი, კენკროვნების 1 000 ცალი ნერგი, ვაზის 13 300 ცალი ნერგი, მიღებულია ციტრუსის 24 464 კგ მოსავალი, ხეხილის 590 კგ მოსავალი და ყურძნის 4 600 კგ მოსავალი. საჩითილე მეურნეობაში თესლის აღმოცენების პროცენტული მაჩვენებელის გათვალისწინებით წარმოებულია 249 901 ცალი ბოსტნეულის ჩითილი.

მეურნეობების ფუნქციონირებისათვის გადახდილი იქნა ყოველთვიური კომუნალური გადასახადები და გაფორმებული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 72 შრომითი ხელშეკრულება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,3 %

პროგრამა - მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას **„ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა“,** რომლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 319,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 971,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2024-2025 წწ.-ს სამრეწველო ციტრუსის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,40 ლარად შესყიდულ სამრეწველო მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,35 ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვრის თვის მდგომარეობით განხორციელდა 750 845 კგ სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 262,8 ათასი ლარი.

2025-2026 წწ.-ს სეზონის სამრეწველო ციტრუსის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,40 ლარად შესყიდულ სამრეწველო მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,35 ლარის ოდენობით. 2025 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით განხორციელდა 13 453 865 კგ სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 4 708,8 ათასი ლარი, მათ შორის 2025 წლის მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის 2025 წლის 26 დეკემბრის #2220 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 2 600,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1 262,1 ათასი ლარი.

გეგმასა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა გამოწვეულია დაგეგმილთან შედარებით ფერმერთა დაბალი მომართვიანობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 78,7 %

პროგრამის - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 273,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 249,0 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება, 2025 წლის მონაცემებით ხელოვნური განაყოფიერების გზით რეგიონში განაყოფიერებული იქნა 4 670 სული პირუტყვი, პროგრამით ისარგებლა 3 943 ბენეფიციარმა, საკასო ხარჯმა შეადგინა – 172,1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 3 შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სულ თანხით 76,9 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 91,1 %

პროგრამის - სამელიორაციო სისტემის მართვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 120,8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1 722,4 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (15 კაცი)“ ფარგლებში გაფორმებულია 13 შრომითი ხელშეკრულება, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 289,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროგრამის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა“ ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 57,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია, მოვლა-შენახვა“ ფარგლებში დაგეგმილი იყო 9 ერთეული სარწყავი არხის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელთაგანაც დასრულდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები 8 არხზე, კერძოდ: ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების - სარწყავი არხი; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების - სარწყავი არხის მეორე მონაკვეთი; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილები - სარწყავი არხი; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ კვიახიძეები - ლომანაურის სარწყავი არხი; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეები-მოსიაშვილების სარწყავი არხი; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაული - ჭალის სარწყავი არხი; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის სარწყავი არხი; ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს (ნაკანაფევი) - სარწყავი არხი, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტის ჯალაბაშვილების სარწყავ არხზე ანაზღაურება განხორციელდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად. სულ საანგარიშგებო პერიოდში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა 39,034 კმ სარწყავ არხზე, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 309,6 ათასი ლარი.

ღონისძიებაზე „ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება“ საანგარიშგებო პერიოდში გაწეულია 65,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია დაგეგმილზე ნაკლები შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით, შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა დანიშვნის პერიოდის გადავადებით, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიით და ქედის მუნიციპალიტეტის ჯალაბაშვილების სარწყავ არხის სარეკონსტრუქციო სამუშაოების საანგარიშო პერიოდში დაუსრულებლობით.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 81,2 %

პროგრამის - ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 202,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 201,4 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 1 შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სულ თანხით 15,1 ათასი ლარი.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ დადგენილი წესით ფერმერების მიერ სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის რაოდენობამ შეადგინა 260 995 კგ. გაწეულია საკასო ხარჯი 186,3 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ ახორციელებს ერთ პროგრამას - „ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და მის სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ 2025 წელს ახორციელებს 7 პროგრამას, აქედან 3 ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციულ მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს და ორ პროგრამას, ხოლო ოთხ პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო:

„გარემოსდაცვითი პროგრამა“ მოიცავს ერთ ქვეპროგრამას, **„ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“,** რომლის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 54,7 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 54,7 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სსიპ „ლაბორატორიული კვლევით ცენტრ“-თან ატმოსფერული ჰაერის (132 სინჯი ღირებულებით 27,6 ათასი ლარი), ჩამდინარე წყლის (105 სინჯი ღირებულებით

12,9 ათასი ლარი) და ზედაპირული წყლის (105 სინჯი ღირებულებით 14,2 ათასი ლარი) შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების მომსახურების შესყიდვაზე;

2. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 132 ატმოსფერული ჰაერის, 105 ჩამდინარე და 105 ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი, საკასო ხარჯმა შეადგინა 54,7 ათასი ლარი;
3. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 49 ფაქტი. ატმოსფერულ ჰაერში და ჩამდინარე წყალში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის/ჩაშვების გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 336,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 12,9 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

განხორციელდა ქალაქ ბათუმში ზღვის სანაპირო ზოლის ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების (არსებული რეცხვადი ბერმის რეკონსტრუქცია) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა, საკასო ხარჯმა შეადგინა 12,9 ათასი ლარი.

შეძენილი ახალი პროექტიდან და პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების ფარგლებში მომზადებული ახალი გეოსაინფორმაციო პაკეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა დამატებითი კვლევების განხორციელება, რაც დაკავშირებული იყო გარვეულ პერიოდთან და შესაბამისად, ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 2025 წლის ბოლოს, შესაბამისად პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები განხორციელდება 2026 წელს.

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“:

პროგრამის - ტყის დაცვა და მოვლა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 326,9 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 176,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: 3 100 ცალი ფერომონის შეძენა, დაავადებული ტყის ფართობებზე მწერსაჭერი ხაფანგებისა და ფერომონების განთავსება (მონტაჟი), მონიტორინგი, ჩამოხსნა და დემონტაჟი/დასაწყობება, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 176,2 ათასი ლარს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმის გამო რომ, დეგრადირებული ტყეების ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის მიზნით დადებული ხელშეკრულება შეწყდა მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად და არაჯეროვნად შესრულების გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 53,9 %

ქვეპროგრამის – სანიტარული ჭრა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 138,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 38,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, შუახევის მუნიციპალიტეტში 1 200 კბ.მ. სანიტარული ჭრის განხორციელების მიზნით დადებულ იქნა ხელშეკრულება ღირებულებით 138,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა მხოლოდ 337,6 კბ.მ. დაავადებული ხე-ტყის სანიტარული ჭრა. კერძოდ, განხორციელდა წიწვოვანი ჯიშის (ნაძვის) საშეშე ხე-ტყის მოჭრა, გაქერქვა, ტყიდან გამოზიდვა და დასაწყობება. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობები არასრულად იქნა შესრულებული და შესაბამისად ხელშეკრულება შეწყდა. შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად განხორციელდა ანაზღაურება 38,8 ათასი ლარის ოდენობით. სანიტარული ჭრის ღონისძიება გაგრძელდება მომდევნო წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 28,1 %

პროგრამის - „საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში ხორციელდება ერთი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 36,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 29,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სატყეო სექტორთან დაკავშირებული 12 ღონისძიება, ასევე განხორციელდა 1 100 ცალი საინფორმაციო ბუკლეტის შეძენა და ვიდეორგოლის დამზადება, საკასო ხარჯმა შეადგინა 20,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება (4)“ ფარგლებში სტაჟირება გაიარა 4 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა. საკასო ხარჯმა შეადგინა 9,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებელთა სტაჟირების ღონისძიებაში მიღებული ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,4 %

პროგრამის - ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ

„აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“.

ქვეპროგრამის „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 721,6 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 303,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 27 295 მეტრი ახალი გზის მშენებლობა და 155 800 მეტრი არსებული გზის შეკეთება. შესრულებული სამუშაოს საკასო ხარჯი შეადგენს 906,4 ათას ლარს.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდათ 23 ტექნიკურ მუშაკს, რომელთა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 393,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „მეტყევის სახლების მოწყობა“ ფარგლებში შეძენილია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე 1 ერთეული მეტყევის სახლის (კოტეჯის) მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, საკასო ხარჯმა შეადგენა 3,5 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ საანგარიშო პერიოდში არ წარმოიშვა საჭიროება დიდი რაოდენობით საწვავის გახარჯვის, მძიმე ტექნიკის შეკეთებითი სამუშაოებისა და სათადარიგო ნაწილების მოწოდების, ასევე მეტყევის სახლის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევის სპეციფიკიდან გამომდინარე პროცესი გაგრძელდა, მოითხოვა დროის გარკვეული პერიოდი. შესაბამისად მეტყევის სახლის მშენებლობა განხორციელდება 2026 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 75,7 %

პროგრამის - ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა) საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 000,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 000,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პირველი ეტაპისთვის გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოები (საკვარტალე ქსელის პროექტი და ორთო-ფოტო გეგმების დეშიფრირება „Shp“-ფაილები, ელექტრონული ვერსია), ასევე დასრულებულია მეორე ეტაპით გათვალისწინებული საველე სამუშაოები ქედის, ქობულეთის და ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციების ტყის ტერიტორიაზე.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო 2025 წელს (2025 წლის 1 მარტიდან) ახორციელებს ხუთ პროგრამას: კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის, კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის.

პროგრამა - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა მოიცავს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება
საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 649,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 322,1 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კულტურის 18 ღონისძიება, საერთო ღირებულებით 329,0 ათასი ლარი:

„ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ - „მართვეს“ - კონცერტი დაფინსებულია - 44,0 ათასი ლარით;

ღონისძიება- ,,ამბები ბათუმზე'' გაწეულია - 2,2 ათასი ლარი;

ღონისძიება „ვაჟა აზარაშვილის საღამო - „რაც დარჩა სათქმელი“ გაწეულია - 12,9 ათასი ლარი;

„კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის შემოქმედების საღამო“ დაფინანსებულია - 12, 9 ათასი ლარი;

„კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის საიუბილეო საღამო - „გიორგი ცაბაძე თეატრსა და კინოში“ დაფინანსებულია - 12,4 ათასი ლარით;

ღონისძიება „ქალაქური სიმღერების საღამო პეტრას ციხეზე“ – 27,7 ათასი ლარი;

ღონისძიება „საერთაშორისო პლენერი მშვიდობისთვის 2025“ - გაწეულია 21,6 ათასი ლარი;

ღონისძიება „კულტურის ბანაკი გონიოში“ გაწეულია - 12,4 ათასი ლარი;

ღონისძიება „მომავლის ბანაკი ურეკში“ გაწეულია - 14,5 ათასი ლარი.

ღონისძიება „ანზორ ერქომაიშვილის 85 წლისადმი მიძღვნილი საღამო“ - ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი - გაწეულია 43,9 ათასი ლარ;

ღონისძიება „პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის თეატრის გასტროლი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში“ – 13,3 ათასი ლარი;

ღონისძიება „შუახევობა 2025“ გაწეულია - 75,2 ათასი ლარი;

ღონისძიება „კონსტანტინე პევზნერის და შოთა მილორავას საღამო“ გაწეულია - 5,4 ათასი ლარი;

ღონისძიება „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი“ გაწეულია - 1,8 ათასი ლარი;

ღონისძიება „ჩემი ოცნების ბათუმო“ ნუნუ გაბუნიას შემოქმედების საღამოზე გაწეულია - 5,9 ათასი ლარი;

ღონისძიება „გურამ ბზვანელის საღამო“ გაწეულია - 9,5 ათასი ლარი;

ღონისძიება „საქველმოქმედო კონცერტი ბათუმის საზაფხულო თეატრში“ გაწეულია - 9,4 ათასი ლარი;

ღონისძიება „ქ. ბათუმში ქართველი საოპერო კომპოზიტორების გალა კონცერტი“ გაწეულია - 4,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსი,

გამარჯვებულად გამოვლინდა და განხორციელდა 20 ფესტივალი, რომელთა ანგარიშსწორება შეადგენს 952,9 ათას ლარს:

„XX საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალი“ - 9,7 ათასი ლარი;

„შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“ - 80, 0 ათასი ლარი;

„საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ - 80,0 ათასი ლარი;

„კვალი“ - 40,0 ათასი ლარი;

„ლიტერატურა იალაღებზე“ - 40,5 ათასი ლარი;

„ქართული მრავალჟანრობრივი მუსიკალური ფესტივალი „ჰიტერატურა“ - 35,0 ათასი ლარი;

საავტორო მუსიკის რადიოფესტივალი „მუსიკა ბათუმიდან“ - 50,0 ათასი ლარი;

„გურამ თამაზაშვილის სახელობის ქალაქური სიმღერების ფესტივალი 2025“ - 77,9 ათასი ლარი;

„არგონავტიკა“ - 23,2 ათასი ლარი;

„მთელ ქვეყანას აგიმღერებ“ - 69,0 ათასი ლარი;

„ბათუმის ქუჩის მხატვრობის ფესტივალი - Street Art Festival Batumi“ - 44,5 ათასი ლარი;

„ბათუმის ყავის ფესტივალი/Batumi Coffee Fest“ - 74,0 ათასი ლარი;

სპორტული ფილმების ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი „ნიკე” - 37,0 ათასი ლარი;

„თეატრი შენს ეზოში“ – 17,7 ათასი ლარი;

„საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალი Tour Fest 2025“ - 22,9 ათასი ლარი;

საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ - 63,5 ათასი ლარი;

შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი - „ბათუმის რაფსოდია“ - 79,7 ლარი;

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“- 25,0 ათასი ლარი;

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ - 55,0 ათასი ლარი;

„გრანდ ტალანტი“ – 28,3 ათასი ლარი;

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 6,0 ათასი ლარი.

გაწეულია კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერაზე 31,2 ათასი ლარი.

დამზადდა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიდეო-რგოლი თანხით 3,0 ათასი ლარი;

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ვინაიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსის საფუძველზე, გამოვლენილი გამარჯვებული პროექტებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, შესაბამისად, მათი განხორციელების ზუსტი ფინანსური რესურსი, გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების გზით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მომსახურებების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შექმნილია ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,2 %

ქვეპროგრამის - ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 340,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 282,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საგრანტო წესით გამოვლენილი და განხორციელებულია 24 პროექტი საერთო ღირებულებით 277,3 ათასი ლარი.

სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1 პროექტი - ფრიდონ ხალვაშის წიგნის - „ომრი“ - სასტამბო წესით ბეჭდვა/მოწოდება, საერთო ღირებულებით 4,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები და მათ განსახორციელებლად საჭირო ზუსტი ფინანსური რესურსი. გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების გზით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მომსახურებების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა ტოვებს ეკონომიას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 83,0 %.

პროგრამის - კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 295,5 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 242,5 ათას ლარს.

გაწეულია პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 26,3 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, რის ფარგლებშიც განხორციელდება სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის მხარდაჭერა. რისთვისაც საანგარიშო პერიოდში გაწეულია 216,2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს თეატრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შრომის ანაზღაურების გარდა.

გეგმასა და ფაქტს შორის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია საქონელი და მომსახურების მუხლის აუთვისებლობით, ძირითადათ კომუნალური ხარჯების აუთვისებლობით.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 82,1 %.

პროგრამის - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 569,2 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 471,0 ათას ლარს.

ღონისძიების „აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“ ფარგლებში სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, სადაც მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, კულტურის ცენტრებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლებმა, 74 ფოლკლორული ანსამბლი (აქედან 37 ხალხური ცეკვის და 37 ხალხური სიმღერის) და 1 835 შემსრულებელი. გამოვლინდა სულ 12 გამარჯვებული. გამარჯვებული ანსამბლების გალაკონცერტი და დაჯილდოების ცერემონიალი - ჩატარდა 2025 წლის 12 ივნისს, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში. ოლიმპიადის ორგანიზებისათვის გაწეულია 42,2 ათასი ლარი. 6 ანსამბლზე გაიცა ფულადი ჯილდო თანხით 11,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, რაზეც საანგარიშო პერიოდში გაწეულია 281,2 ათასი ლარი:

(ა)იპ ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლაშქარი“ მონაწილეობა რუმინეთის რესპუბლიკის ქალაქ კონსტანცაში ფესტივალში „Tade Union“ -14,8 ათასი ლარი;

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბეთლემი“ გასტროლი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ გაზიფაშა/ანტალიაში - 13,4 ათასი ლარი;

სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოს - „გრან-პრის“ მფლობელი ქორეოგრაფიული ანსამბლის ,,მთაწმინდა“-ს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ბურსის რეგიონში, ფოლკლორულ ფესტივალ „ჩვენებურებში“ მონაწილეობა (გასტროლი) - 20,0 ათასი ლარი;

ლაზური სიმღერის კონცერტის ორგანიზება - 25,9 ათასი ლარი;

შუამთობის სახალხო დღესასწაულის ორგანიზება -153,6 ათასი ლარი;

სახალხო დღესასწაულში „ხელვაჩაურის დღეები“ მუსიკალურ ჯგუფ „ურსას“ მონაწილეობა - 34,0 ათასი ლარი.

სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოს - „გრან-პრის“ მფლობელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოჰოინანას“ სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევანში საერთაშორისო ფესტივალში „ერევანი 2025“ მონაწილეობა - 19,5 ლარი.

ღონისძიების „სასცენო სამოსით და აქსესუარებით (არანაკლებ 5 ანსამბლისა) და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განხორციელდა სასცენო სამოსის შესყიდვა ღირებულებით 40,8 ათასი ლარი, ასევე განხორციელდა მუსიკალური ინსტრუმენტების (ქართული ხალხური საკრავების) შესყიდვა (23 ცალი) ღირებულებით 25,0 ათასი ლარი კულტურის ცენტრებისათვის.

ღონისძიების „ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფისთვის გამოცხადდა ტენდერი (NAT250017321), სადაც გაიმარჯვა ი/მ მედეა გოგიბერიძემ, სახელშეკრულებო თანხა 96,0

ათასი ლარი. საბანკო გარანტიის საფუძველზე ავანსად გაიცა - 48,0 ათასი ლარი. ხელშეკრულებით დარჩენილი ასანაზღაურებელი თანხის ანაზღაურება განხორციელდება 2026 წელს.

გაწეულია პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 17,0 ათასი ლარი.

სარეკლამო-ბრენდირებული ნივთების დამზადება/მოწოდება 5,5 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერებიდან მიღებული ეკონომიით, ასევე უარყოფითი შედეგით დასრულდა სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოს - „გრან-პრის“ მფლობელი ანსამბლ „მარეთის“ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში, საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისთვის ტრანსპორტირებისა და სასტუმროთი მომსახურების შესყიდვის ტენდერი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 82,7 %

პროგრამის - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 274,2 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 110,0 ათას ლარს.

ღონისძიების საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 5 ღონისძიება თანხით 87,5 ათასი ლარი, კერძოდ,

„ვალენსიის თეატრის ხელოვანთა კონკურსში - „Young Artist Programme“ - მონაწილეთა მხარდაჭერა - 5,8 ათასი ლარი;

ანსამბლ „ხელგაშლილას“ პორტუგალიაში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობა - 43,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების „შუახევი“ და „ზე-კართან“ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ აფიონყარაჰისანრში დაგეგმილ ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობა - 14,0 ათასი ლარი.

მხატვართა საერთაშორისო პროექტში ხელოვნების კოლონია სახელწოდებით - „ARTDULCINIUM“- მონაწილეობა - 5,8 ათასი ლარი;

ბსუ-ს ბენდის - „OFFSIDE“ - ქ. ტოკიოში ქართული კულტურის დღეებში მონაწილეობა - 18,9 ათასი ლარი;

განხორციელდა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსები ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად, გამოვლინდა 7 გამარჯვებული, რომლებიც 7 თვის განმავლობაში იღებდნენ სტიპენდიას, თითოეული 375 ლარის ოდენობით. სულ გაწეულია 18,3 ათასი ლარი.

პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში დამზადდა 5 როლაპი, 200 ბრენდირებული კალამი და 200 ბრენდირებული ჩანთა თანხით 4,2 ათასი ლარი

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ვინაიდან პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, შეუძლებელია, წინასწარ განისაზღვროს,

წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა და ბიუჯეტი. გარდა მომართვიანობის სიმცირისა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო შესყიდვების გზით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მომსახურებების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა ტოვებს ეკონომიას.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 40,1 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2025 წელს ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, კულტურული მემკვიდრეობის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ქვეპროგრამის - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 091,6 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 2 547,8 ათას ლარს.

აჭარაში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა: ქ. ბათუმში ზუბალაშვილის ქ. N30 მდებარე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც გაწეულია 488,1 ათასი ლარი, ლაო-ჯინჯაოს სახლის სარეაბილიტაციო სამუშაობის პირველი ეტაპი, რაზეც გაწეულია 588,0 ათასი ლარი, მიმდინარეობს: ზვარესა და ძენწმანის მეჩეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 96,7 ათასი ლარით, ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაობი - 113,7 ათასი ლარით, კ. გამსახურდიას ქ. N36 და ზ. გამსახურდიას ქ. N9 მდებარე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 88,3 ათასი ლარით.

პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში დასრულდა პეტრას სამუზეუმო სივრცის რეაბილიტაცია და პეტრას ნაეკლესიარის კონსერვაცია, რაზეც გაწეულია 405,3 ათასი ლარი.

საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა ხუთი საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიება-ძეგლების საერთაშორისო დღე, მუზეუმების საერთაშორისო დღე, ბავშვთა საერთაშორისო დღე, რომაული ფესტივალი და ოქროს თვალი თანხით 249,0 ათასი ლარი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვის ფარგლებში შესყიდული იქნა ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N53, წერეთლის ქ. N1, N3, ზ. გამსახურდიას ქ. N9, ზ. გორგილაძის ქ. N31, ფ. მეფის ქ. N88, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიისა და ხულოში საციხურის დამწვარი ჯამის მცირე და სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები თანხით 291,7 ათასი ლარი.

დაიბეჭდა წიგნი „საქართველოში არსებული მეჩეთების და სალოცავების ფოტოალბომი“ და გონიოსა და პეტრას ციხეების შესახებ სხვადასხვა ფლაერები. სულ გაწეულია 32,5 ათასი ლარი.

მოეწყო ექვსი არქეოლოგიური ექსპედიცია: გონიოს ციხის, პეტრას ციხის, ოქროპილაურის ციხის, მახვილაურის, სამებისა და ფიჭვნარის ტერიტორიების არქეოლოგიური კვლევა - ძიებანი. აღნიშნულზე გაწეულია 194,5 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ზ. გამსახურდიას ქ. N9 მდებარე ძეგლის, ზვარეს ჯამის, ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრისა და ხინოს მამათა მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად ვერ განხორციელდა, შესაბამისად მიმწოდებლების მოთხოვნის საფუძველზე სამუშაოების განხორციელების ვადები გაგრძელდა 2026 წლის ბოლომდე.

პეტრას სამუზეუმო სივრცის მოწყობის სამუშაოები და პეტრას ნაეკლესიარის საკონსერვაციო სამუშაოები დასრულდა. დასრულების შემდეგ წარმოიშვა სახელშეკრულებო ეკონომია. დაგეგმილი იყო პეტრას ციხის საინჟინრო უბნის საკონსერვაციო სამუშაოები. არქეოლოიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ახალი ელემენტები, რის გამოც აუცილებელი გახდა პროექტის ცვლილება. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ვეღარ მოესწრო სამუშაოების განხორციელება.

ლაო ჯინჯაოს ქართული ჩაის მუზეუმის შენობის შიდა სივრცისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტი ჩინურ მხარესთან თანამშრომლობით მომზადდა დაგეგმილზე გვიან. შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა.

გვარას ციხის, რუსთაველის ქ. N53 მდებარე ძეგლის და ჭავჭავაძის ქ. N19 მდებარე ძეგლის რეაბილიტაციის ელექტრონული ტენდერები არ შედგა. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გვიან შემოდგომაზე სამუშაოების დაწყება მიზანშეწონილი არ იყო. შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელებაზე, რათა სამუშაოები დასრულდეს 2026 წელს.

დაგეგმილი იყო ხ. ახვლედიანის ქ. N2/ვაჟა ფშაველას ქ. N34 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან გამართული შეხვედრების შედეგად ვერ იქნა მიღწეული თანხმობა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ უარი განაცხადა სამუშაოების ჩატარებაზე. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში აღარ ჩატარდა სამუშაოები.

ასევე, ტენდერებიდან მიღებულია ეკონომიები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 41,8 %